პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

27 ოქტომბერი ოთხშაბათი 1971 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 248 (15158)

საქართველოში დაიწყო ესტონეთის კულტურის დღეები

# ELAGU EESTI JA GRUUSIA RAHVASTE SÕPRUS!

## გაუმარჯოს ესტონელი და ქართველი ხალხების მეგობრობას!

## მეგობრობა

მეგობრობამ და სიყვარულმა მანძილი და სიშორე იმთავითვე არ იცოდა, ჩვენს საბჭოთა დროში კი მეგობრობის უკვდავმა ნერგმა ჭეშმარიტად ახლებურად იხარა და ნაყოფიც უხვად მოგვცა.

მრავალ ახალ შესანიშნავ ტრადიციებს შორის, რაც განსაკუთრებით ამ უკანასკნელ ხანს დამკვიდრდა ჩვენს სინამდვილეში, უნდა აღინიშნოს მოძმე რესპუბლიკების მშრომელთა წარმომადგენლებისა და კულტურის მოღვაწეთა ურთიერთსტუმრობა. ასეთი ღონისძიებანი უთუოდ ხელს უწყობენ ჩვენი მოძმე ხალხების კიდევ უფრო დაახლოებას, ჩვენი ძმობისა და მეგობრობის განმტკიცებას.

სულ ახლახან ესტონეთის სსრ მიწაზე სტუმრად იყვნენ საბჭოთა საქართველოს წარგზავნილები. ქართული კულტურის დღეები — ასე მოკლედ ერქვა იმ დიდი გრძნობების, გულითადობის, მეგობრობის გამომხატველ მოვლენას, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ორი ხალხის, ესტონელი და ქართველი ხალხების გულში.

იქ, ესტონეთში, საქართველოდან ჩასულთ საოცარი სითბო და გულითადი მეგობრობა დახვდათ. ძნელია აღწერო ესტონური მასპინძლობის შედეგად განცდილი გრძნობები, ძნელია სულის იმ მოძრაობათა სიტყვებით გამოხატვა, რაც იმ დღეებში იგრძნობოდა: სიშორე წაიშალა, მანძილი მოისპო, სიყვარული გაიდო გზად და ხიდად...

და აი დღეს საქართველო მასპინძლობს თავის ესტონელ ძმებს. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ძვირფასო მეგობრებო! ამ გულთბილი სიტყვებით ეგებებიან საქართველოს მშრომელები ესტონეთის კულტურის წარმომადგენლებს.

დღეს მშვენიერი დარია, დარია, რადგან ერთი დიდი მეგობრული ოჯახი გვაქვს, ურღვევი ლენინური მეგობრობით შედუღაბებული, და ამ ოჯახის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დაბადების 50 წლისთავის წინ ესტონელ ძმათა სტუმრობა ქართულ მიწაზე სწორედ ამ ურღვევი მეგობრობის მადლია.

ერთმანეთისაგან საკმაოდ შორს მდებარეობენ საქართველო და ესტონეთი, მაგრამ საერთო ძალიან ბევრი აქვთ, და ამ საერთოშია ჩვენი წინსვლის ძალაც, ჩვენი დიდი საბჭოთა სამშობლოს უძლეველობის საწინდარიც.

გამარჯობათ, ესტონელო ძმებო! გაუმარჯოს თქვენს შესანიშნავ კულტურას! თქვენი ხელოვნების ზეიმი საქართველოს მიწაზე ჩვენი ძმობის დღესასწაულია. აი სწორედ ასეთ ძმობაზე, ასეთ მეგობრობაზე ოცნებობდა უკვდავი შოთა რუსთაველი, როცა ამბობდა

ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჰირსა არდამრიდად,
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად.

# საპაფიო საბჭოთა სტუმრის პატივსაცემად

**პარიზი,** 25 ოქტომბერი. (საკუთარი სპეც. კორ.). დღეს საღამოს საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა **ჟ. პომპიდუმ** ვერსალის დიდი ტრიანონის სასახლეში სადილი გამართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის **ლ. ი. ბრეჟნევის** პატივსაცემად.

საფრანგეთის მხრივ სადილზე იყვნენ მთავრობის წევრები, სხვა ოფიციალური პირნი.

საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ **ლ. ი. ბრეჟნევთან** ერთად ჩამოსული ოფიციალური პირნი.

შეკრებილთ სიტყვებით მიმართეს **ჟ. პომპიდუმ** და **ლ. ი. ბრეჟნევმა.**



**პარიზი.** 25 ოქტომბერი. **ლ. ი. ბრეჟნევი** და საფრანგეთის **პრეზიდენტი ჟ. პომპიდუ** ელისეს სასახლეში საუბრის დროს.

ტელეფოტო საკუთარი (სურათი მიღებულია საქმეს ფოტოტელეგრაფით).

## ჟ. პომპიდუს სიტყვა

ბატონო გენერალურო მდივანო!

ერთი წლის წინათ მე და ჩემი მეუღლე თქვენი სტუმრები ვიყავით საბჭოთა კავშირში. და აი, ახლა თქვენ ხართ საფრანგეთის სტუმარი. უწინარეს ყოვლისა მინდა გითხრათ, თუ რაოდენ დიდ პატივად მიგვაჩნია მივიღოთ საბჭოთა კავშირის ყველაზე პასუხისმგებელი მოღვაწე, რომელიც პირველად მოგზაურობს დასავლეთში.

ყველაზე პასუხისმგებელი მოღვაწე უეჭველად, უნდა ვთქვა ეს — იმიტომ, რომ ჩვენი სტუმარია კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი. შეიძლება ზოგიერთს გაუკვირდეს ეს. მაგრამ განა შეიძლება უფრო მკაფიოდ გამოვხატო ჩვენი ერთნაირი შეხედულებანი საერთაშორისო ურთიერთობისა და იმ მაღალი დონის გამო, რომელსაც მიაღწია ჩვენი ორი ქვეყნის თანამშრომლობამ! მინდა ვთქვა, რომ ჩვენ სრულებითაც არ გვიჭირავს თავი ისე, თითქოს არ ვიცოდეთ ჩვენი სოციალურ-ეკონომიური სისტემების და, მაშასადამე, ჩვენი პოლიტიკური ინსტიტუტების ძირეული განსხვავებანი.

ის თვალსაჩინო ადგილი, რომელიც თქვენ გიჭირავთ საბჭოთა ხელმძღვანელებს შორის, გამოხატავს პარტიის როლს სსრ კავშირის სტრუქტურაში, და მაშასადამე, მის პოლიტიკაშიც. ნაკლებ ცნობილი როდია ისიც, რომ საფრანგეთმა გენერალ დე გოლის მოწოდებით აირჩია სრულიად სხვა სტრუქტურა, რომ მისი სოციალურ-ეკონომიური სისტემა, თუმცა იგი სრულიადაც არ შეესაბამება ლიბერალური კაპიტალიზმის თეორიულ სახეს, აკავშირებს მას დასავლეთის სამყაროსთან და რომ მისი კავშირურთიერთობანი, ისევე როგორც აქტიური როლი, რომელსაც იგი ასრულებს ევროპის მშენებლობაში გაერთიანებათა ფარგლებში, მისი პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თქვენი ვიზიტი იმის საუკეთესო ილუსტრაციაა, თუ როგორ წარმოგვიდგენია ჩვენ ერების, და, კერძოდ, ევროპის ერების ურთიერთობა.

ჩვენს ნათლად გამოხატულ მისწრაფებას მეგობრული კონტაქტები გვქონდეს ყველა ქვეყანასთან მაინ პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური წყობილების მიუხედავად, შეესაბამება მშვიდობიანი თანაარსებობისა და მისი შედეგების თქვენი საკუთარი განსაზღვრება. ჩვენს რწმენას, რომ ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმისათვის არაფერია უფრო დიდმნიშვნელოვანი, ვიდრე მჭიდრო კულტურული, ეკონომიური, ადამიანური და, რა თქმა უნდა, პოლიტიკური კავშირურთიერთობის დამყარება აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, შეესაბამება თქვენი მტკიცე მისწრაფება აღმოიფხვრას ცივი ომის შედეგები, როგორც დაადასტურა და ადასტურებს ამას მასპინძლობა, რომელიც თქვენ გაუწიეთ გენერალ დე გოლს სსრ კავშირში ღირსსასოვარი მოგზაურობის დროს, ისევე როგორც გამიწიეთ მე, როცა გეწვიეთ ჯერ როგორც პრემიერ-მინისტრი, შემდეგ კი როგორც საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი, ამას ადასტურებს ბერლინის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერის ვიზიტები თქვენს ქვეყანაში, და დაადასტურებს ვიზიტი, რომლითაც რამდენიმე თვის შემდეგ გეწვიეთ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი, და სხვ.

ამრიგად ნათლად-და დღეს განსაკუთრებით ნათლად — დასტურდება ჩვენი საერთო მისწრაფება დაგამყარონ ხალხებს შორის, რა იდეოლოგიური განსხვავებანიც უნდა ჰქონდეთ მათ, ღია და კონსტრუქციული დიალოგი, რომელიც შეძლებს მტკიცე და მუდმივი საძირკველი ჩაუყაროს უშიშროებას, და უწინარეს ყოვლისა, ევროპის უშიშროებას.

(დასასრული მე-2 გვერდზე)

## ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

**პატივცემულო** ბატონო პრეზიდენტო, ქალბატონო პომპიდუ!

პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო!

ნება მიბოძეთ ერთხელ კიდევ გადაგიხადოთ მადლობა თქვენს ქვეყანაში მოწვევისა და გულთბილი მასპინძლობისათვის, რომელიც გაგვიწიეთ საფრანგეთის მიწაზე ყოფნის პირველ საათებშივე.

ჩვენი ვიზიტი საფრანგეთში მრავალ დარგში საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობის გაფართოებისა და განმტკიცების იმ ხაზის ლოგიკური გაგრძელებაა, რასაც დასაბამი მიეცა ჩვენთვის ყველასათვის ღირსსასოვარი გენერალ დე გოლის მოლაპარაკების დროს, რომელიც 1966 წელს გაიმართა მოსკოვში. ამან ესოდენ მკაფიო გამოხატულება ჰპოვა თქვენთან, ბატონო პრეზიდენტო, შარშანდელი შეხვედრების მსვლელობაში.

ჩვენ კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ ამ ბოლო წლების მანძილზე საბჭოთა კავშირმა და საფრანგეთმა წარმატებით განვლეს საკმაო გზა ერთმანეთის შესახვედრად. პოლიტიკური ურთიერთობის დარგში მზარდ როლს ასრულებს ერთი წლით წინათ თქვენი, ბატონო პრეზიდენტო, საბჭოთა კავშირში ვიზიტის დროს ხელმოწერილი ოქმი კონსულტაციების შესახებ, რომელიც საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი ქვეყნების თანამოქმედების დიდმნიშვნელოვანი ინსტრუმენტი გახდა.

საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს აკავშირებს მრავალი კონტაქტი, გაცვლა და თანამშრომლობა ეკონომიკის, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის სფეროში. ფართოვდება საბჭოთა და ფრანგი ხალხების მეგობრული ურთიერთობა.

სავსებით ვიზიარებ, ბატონო პრეზიდენტო, თქვენ მიერ გამოთქმულ საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თანამშრომლობის მნიშვნელობის შეფასებას. ჩვენ პარიზში ჩამოვედით იმის რწმენით, რომ ახალი შეხვედრა ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობის შემდგომ განვითარებას. ეს შეესაბამება საბჭოთა ხალხის, და ღრმად ვართ დარწმუნებული — ფრანგი ხალხის ინტერესებსა და სურვილებს. ჩვენი მოლაპარაკების მთავარ ამოცანად მიგვაჩნია ის, რომ რაც შეიძლება სრულად გამოვხატოთ და ხორცი შევასხათ ჩვენი ხალხების ურთიერთისწრაფებას შეთანხმებისადმი, თანამშრომლობისა და მეგობრობისადმი.

ჩვენი მოლაპარაკება მიმდინარეობს საერთაშორისო ცხოვრების მთელი რიგი ახალი მომენტების ფონზე, რომლებიც ეხება როგორც ბევრი სახელმწიფოს პოლიტიკური ურთიერთობის დარგს, ისე მთა სავაჭრო-ეკონომიური და სხვა ურთიერთობის დარგსაც.

ჩვენ ერთმანეთს ვხვდებით ისეთ დროს, როცა ევროპა, შესაძლოა, იმყოფება თავისი ისტორიის გარდატეხის მომენტში. კონტინენტზე გაიზარდნენ და განმტკიცდნენ ძალები, რომლებიც იბრძვიან დაძაბულობის შენელებისათვის, უშიშროების უზრუნველყოფისათვის, ევროპის ხალხთა უკეთესი მომავლისათვის. ამის გზაა საზღვრების ურღვევობის ცნობა, ძალის ან ძალით დამუქრების გამოუყენებლობის, თანასწორუფლებიანობის, დამოუკიდებლობისა და სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების პატივისცემა.

(დასასრული მე-2 გვერდზე)

# დარბაზობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

**საქართველოში** ესტონეთის კულტურის დღეებთან დაკავშირებით თბილისში ჩამოსული ესტონეთის სს რესპუბლიკის დელეგაცია 26 ოქტომბერს მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. მჟავანანაძემ.

ამხ. მჟავანაძე გულთბილად მიესალმა ესტონური კულტურის წარმომადგენლებს. ჩვენ გვიხარია, თქვა მან, რომ გხედავთ ქართულ მიწაყალზე. ჩვენი ხალხების მეგობრობისა და ძმობის ტრადიციას დიდი ისტორია აქვს.

ამ ისტორიის ერთ-ერთი ბრწყინვალე ფურცელია საქართველოს სს რესპუბლიკის კულტურის დღეები ესტონეთში. ათი დღის განმავლობაში ქართველი ხალხის წარმომადგენლები ესტონელ ძმებს აცნობდნენ უძველესი, მაგრამ მარად ახალგაზრდა საქართველოს ხელოვნებას. ამასთან ისინი თვითონაც ეცნობოდნენ ბალტიისპირეთის ერთ-ერთი უძველესი ხალხის — ესტონელების კულტურასა და ხელოვნებას, მხურვალედ შეიყვარეს ჩრდილოელი ძმების თავისთავადი ეროვნული კულტურა. და სწორედ ამიტომ ასეთი მოუთმენლობით ელის ახლა ჩვენი რესპუბლიკის მთელი საზოგადოებრიობა ესტონეთის ხელოვნებასთან შეხვედრას.

ქართველი ხალხის სახელით ვ. მჟავანაძე მხურვალედ მიესალმა ესტონელ ხალხს, ესტონეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ესტონეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და მინისტრთა საბჭოს. წარმატებანი უსურვა რესპუბლიკის მშრომელებს სკკპ XXIV ყრილობის გადწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

ამხ. ვ. მჟავანანაძემ ესტონეთის კულტურის დღეების მონაწილეებს უსურვა დიდი წარმატებანი და სასიამოვნო სტუმრობა საქართველოში.

დარბაზობაზე სიტყვა წარმოთქვა ესტონეთის სს რესპუბლიკის დელეგაციის ხელმძღვანელმა, ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. ვიალიასმა. მან მადლობა გადაუხადა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს იმისათვის, რომ საშუალება მიეცათ ესოდენ ფართოდ გაეცნონ საქართველოს მშრომელებს ესტონეთის კულტურა და ხელოვნება და ამავე დროს გაეცნონ ქართველი ხალხის ცხოვრებასა და შრომას. მან მტკიცე რწმენა გამოთქვა, რომ ესტონეთის დღეები საქართველოში კიდევ უფრო განამტკიცებს ორი ხალხის მეგობრობას, იქნება სსრ კავშირის ხალხთა შეკავშირების მკაფიო მაგალითი, ხელს შეუწყობს კომუნისტთა დიადი მცნების განხორციელებას — ყოველნაირად განვამტკიცოთ ინტერნაციონალური მეგობრობა, ჩვენი საერთო გამარჯვებების, ჩვენი ქვეყნის სიდიადის საწინდარი.

ვ. ვიალიასმა მხურვალე სალამი და საუკეთესო სურვილები გადასცა პირადად ვ. მჟავანაძეს იმ რაიონის მშრომელებისაგან, სადაც იგი 1941 წელს მეთოქესმეტე მსროლელთა დივიზიის შემადგენლობაში იბრძოდა ტალინის მისადგომებთან. ამ რაიონის მცხოვრებლებმა, თქვა ვ. ვიალიასმა, მთხოვეს გადმომეცა თქვენთვის, რომ წმიდად ინახავენ საბჭოთა მეომრების საბრძოლო ტრადიციებს, ახსოვთ ყველა, ვინც თავდადებით იბრძოდა ესტონეთის მიწაწყალზე.

ისინი გთხოვენ ჩამოხვიდეთ ესტონეთში, ნახოთ თქვენი ბრძოლების ადგილები.

საუბრის დროს ესტონეთის დელეგაციის წევრებს გაიცნეს ქართველი ხალხის ცხოვრება, წამოაყენეს მთელი რიგი წინადადებანი კულტურისა და მეცნიერების დარგში ურთიერთობის განმტკიცებისათვის სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში თანამშრომლობისათვის.

დარბაზობაზე იყვნენ ამხანაგები მ. ბოგიჩაიშვილი, შ. კიკნაძე, ა. ჩურკინი, ნ. ცხაკაია, შ. ბაანუელაძე. აქვე იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე დ. ჩხიკვიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ო. თაქთაქიშვილი, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი დ. მეედლიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ა. ბარდაშხაძე და სხვები. (საქმესი).

**თბილისი.** 1971 წ. 26 ოქტომბერი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ვ. პ. მჟავანაძე ესტონეთის სსრ მთავრობის დელეგაციის წევრებს შორის.

ფოტო ვლ. ბინზბურგისა.

# პრეს-კონფერენცია საქართველოს ქპ ცენტრალურ კომიტეტში

**საქართველოში** ესტონეთის კულტურის დღეების გახსნის წინ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა პრეს-კონფერენცია. აქ შეიკრიბნენ ცენტრალური, რესპუბლიკური, საქალაქო გაზეთებისა და ჟურნალების, საქართველოს დეპეშათა სააგენტოს, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლები. ისინი შეხვდნენ ესტონეთის დელეგაციას, რომელსაც მეთაურობს ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ვილალიასი.

პრეს-კონფერენციაზე იყვნენ ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ბრენნი, ესტონეთის სსრ კულტურის მინისტრი ა. ლაუსი, ესტონეთის ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარე, რესპუბლიკური გაზეთის „რასვა ხიაელის“ რედაქტორი ა. საარმე	ბი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური პრემიის ლაურეატი ბ. ბრენსაქსი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სახელმწიფო აკადემიური თეატრის „ვანემუინეს“ მთავარი რეჟისორი ჰ. ირდი, ესტონეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი ა. პიუორნა, სოციალისტური შრომის გმირი, ტალინის მანქანათსაშენებლო ქარხნის მონაწილეთა ბრიგადირი ა. პალდოვი.

პრეს-კონფერენცია გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ბოგიჩაიშვილმა, რომელმაც თქვა, რომ ესტონეთის სს რესპუბლიკის კულტურის დღეები საქართველოში გახდება ჩვენი რესპუბლიკების კულტურის დღესასწაული, ესტონელი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და ძმობის დღესასწაული. ეს დღეები კიდევ ერთ მკაფიო ფურცელს ჩასწერენ ჩვენი ხალხების მეგობრობის ისტორიაში.

პრეს-კონფერენციის მონაწილეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს დელეგაციის მეთაურის, ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ვ. ვიალიასის გამოსვლა.

— ოთხი თვის წინათ, — თქვა მან, — ჩვენში გაიმართა საქართველოს სს რესპუბლიკის კულტურის დღეები, რომლებმაც დიდი წარმატებით ჩაიარა. საქართველო მახლობელი გახდა ესტონეთისა და ესტონელებისათვის. ეს დაუვიწყარი შეხვედრები ხელს შეუწყობენ ჩვენი კულტურების დაახლოებას, ინტერნაციონალური მეგობრობის განმტკიცებას, ახალი სტიმული იქნება ქართველი და ესტონელი ხალხების დიდი ხანია დამკვიდრებული მეგობრული კავშირურთიერთობის შემდგომი განმტკიცების საქმეში.

ამხ. ვიალიასმა პრეს-კონფერენციის მონაწილეებს ჩაურთვა ესტონეთის სს რესპუბლიკის დელეგაციის წევრები.

— განსაკუთრებულ მღელვარებასა და სიხარულს განიცდიდით, — თქვა ესტონეთის სსრ კულტურის მინისტრმა ა. ლაუსმა, — იმასთან დაკავშირებით, რომ შესაძლებლობა მოგვეცა გავაცნოთ ჩვენი ხელოვნება მომთხოვნ ქართველ მაყურებელს. ვეცდებით გიჩვენოთ ყოველივე საუკეთესო — ჩვენი ხალხური სიმღერები და ცეკვები, ესტონეთის გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, ესტონელ გრაფიკოსთა ნამუშევრები. საქართველოს ქალაქებში გამოვლენ ვაჟთა აკადემიური გუნდი სსრ კავშირის სახალხო არტისტის გ. ერნესაქსის ხელმძღვანელობით, ცნობილი თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივები, სამი საესტრადო ანსამბლი, ესტონეთის ფილარმონიისა და საოპერო თეატრის სოლისტები. საქართველოში ესტონეთის კულტურის დღეების დროს 50-ზე მეტ კონცერტს გავმართავთ. მოეწყობა ესტონური ფილმების კინოფესტივალი, საქართველოს სწრათების გალერიაში გაიხსნება ესტონეთის გამოყენებითი ხელოვნების დიდი გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იქნება 500-ზე მეტი ექსპონატი.

ჟურნალისტებმა მისცეს მთელი რიგი შეკითხვები, რომლებზეც ესტონეთის დელეგაციის წევრებმა ამომწურავად უპასუხეს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ბოგიჩაიშვილმა მადლობა გადაუხადა ესტონელ სტუმრებს საინტერესო საუბრისათვის და უსურვა დიდი წარმატებანი საქართველოში ესტონეთის სს რესპუბლიკის კულტურის დღეების დროს. (საქმესი).

# საპატიო საბჭოთა სტუმრის პატივსაცემად

## ჟ. პომპიდუს სიტყვის დასასრული

რა თქმა უნდა, მარტო შეხვედრები სრულიადაც არ აკმარა, საჭიროა მივაღწიოთ თანხმობასაც. საფრანგეთმა გენერალ დე გოლის პირით პირველმა განაცხადა, რომ საჭიროა დაძაბულობის შენელება, როგორც წინასწარი ეტაპი იმ გზაზე, რომელსაც უნდა მოაყვეს თანხმობა და თანამშრომლობა. ასეთი პოლიტიკის წარმატებისათვის საჭიროა მიეაღწიოთ გულწრფელ თანხმობას ზოგიერთი ძირითადი პრინციპების გამო. საქმე ეხება უწინარეს ყოვლისა იმას, რომ ბოლო მოეღოს ბლოკების პოლიტიკას, რომელსაც საფუძვლად უდევს მუდმივი ბრძოლა და რიაკი კონფლიქტისა. რომელიც მთელი კაცობრიობისათვის, და ყოველ შემთხვევაში, ატლანტიკური კავშირისა და ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებისათვის საბედისწერო კატასტროფა იქნებოდა.

მაგალითი გვიჩვენა საფრანგეთმა, რომელიც გამოვიდა ნატოს გაერთიანებული სამხედრო ორგანიზაციიდან და გარკვეული პოზიცია დიაკეკა ბევრი კონფლიქტის მიმართ. რომლებიც გრძელდება ახლო და შორეულ აღმოსავლეთში. მე მახარებს თქვენი განცხადებანი იმის თაობაზე, რომ თქვენც წინააღმდეგი ხართ ბლოკების ამ პოლიტიკისა.

საზეიმოდ ვადასტურებ პრინციპს, რომელსაც—მოხარული ვარ აღვნიშნო ეს—თქვენც უჭერთ მხარს, ეს არის სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპი. პრინციპი, რომლის თანახმად თვითეული ერი თავისუფლად უნდა განაგებდეს საკუთარ საქმეებს და ახორციელებდეს საკუთარ პოლიტიკას, ისე როგორც საჭიროდ მიიჩნია. მაგრამ არც თქვენ, არც ჩვენ არ უარვყოფთ განსაკუთრებულ კავშირურთიერთობას, რომელიც შეიძლება არსებობდეს ამა თუ იმ ერებს, ეგრეთვე თუ სხვა ერებს შორის, და ჩვენ არ ვცდილობთ დავარღვიოთ ასეთი კავშირურთიერთობა სხვა ქვეყნებს შორის ისევე, როგორც ვინარჩუნებთ და ვისწრაფვით განვამტკიცოთ ჩვენი ურთიერთობა ამა თუ იმ მეგობრებთან ან მეზობლებთან მაგალითად, ევროპის გაერთიანებათა ჩარჩოებში. მაგრამ ჩვენ ყველაზე მაღლა ვაყენებთ ეროვნული დამოუკიდებლობის ცნებას. პატივს ვცემთ ყველა ერის დამოუკიდებლობას, მტკიცედ გვაქვს ვადაწყვეტილი ვაითუღოთ პატივი სცეს ჩვენს დამოუკიდებლობას და შევასრულოთ ეს ამოცანა შესაბამისი ეკონომიური პოლიტიკური და — რატომ არ უნდა ვთქვათ ეს? — სამხედრო საშუალებებით.

ვემყარები რა ამ სულისკვეთებას და საერთაშორისო ურთიერთობისადმი ამ მიდგომას მე განვაცხადე მოსკოვში და კვლავ ვაცხადებ აქ ჩვენს რწმენას, რომ ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე მოწვეული თათბირი ჩვენს კონტინენტს დიდად დაეხმარება და გაბედა მისი მშვიდობიანი წონასწორობის მტკიცე ფაქტორი, წონასწორობისა, რომელსაც საფუძვლად დაედება არა თანაბარი შიში, არამედ ერთმანეთის თანაბარი ცოდნა, აქტიური თანამშრომლობა, ადამიანთა დაახლოება.

და დღეს, როცა ოთხმა სახელმწიფომ შეძლო ბერლინის საკითხის დამაკმაყოფილებელი მოწესრიგება თანხმობის მიღწევის მეოხებით — და ჩვენმა ორმა ქვეყანამ ამ საქმეში სასარგებლო — ზოგჯერ კი გადამწყვეტი როლიც შეასრულა, — როცა სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის და ბოლონეთსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის დადებულმა ხელშეკრულებებმა დაადასტურეს ცენტრალურ ევროპაში უკანასკნელი ომის შედეგად დამკვიდრებული და აღიარებული საზღვრების სიმტკიცე, როცა საერთაშორისო მოლაპარაკებანი წარმოშობენ იმედს, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დამყარდება ნორმალური ურთიერთობა აქედან გამომდინარე საერთაშორისო ხასიათის მთელი შედეგებით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვერაფერი ვერ შეაფერხებს ჰელსინკი რაც შეიძლება უმოკლეს ხანში თათბირის მოწვევისათვის მზადების მრავალმხრივი ფაზის დაწყებას.

ამ ფაზამ, როგორც ჩვენ ვგეგმავს, საშუალება უნდა მოგვცეს განვსაზღვროთ არა მარტო პლენარული სხდომების ოქმი, დონე და დაწყების თარიღი. არამედ დღის წესრიგიც, აგრეთვე თათბირის მუშაობის ორგანიზაციის დეტალები. ჩვენი აზრით, თათბირი უნდა მოვიწვიოთ არა ზოგად საკითხებზე აზრთა უბრალო გაზიარებისათვის, არამედ იმისათვის, რომ დავსახოთ კონკრეტული მოქმედების ხაზი უმიშროების, ეკონომიკისა და კულტურის დარგში. ჩვენი შეხედულებანი ამ ძირეულ საკითხზე, ეტყობა, ფრიად უახლოვდება ერთმანეთს, და ჩვენი შეხვედრა კარგი შემთხვევაა, რათა საჯაროდ გამოვაცხადოთ ეს.

მე ზემოთ ვთქვი, რომ თქვენი ვიზიტი მოწმობს მაღალ დონეს, რომელსაც მიაღწია ჩვენმა ორმხრივმა თანამშრომლობამ. ეს თანამშრომლობა ვლინდება, უწინარეს ყოვლისა, როგორც ჩვენ გვსურდა და აღვნიშნეთ 1970 წლის 13 ოქტომბრის ოქმში, ჩვენი ორი მთავრობის კონსულტაციებით ყველა საერთაშორისო პრობლემაზე. ეს კონსულტაციები ეწყობოდა მთლიანად ჩვენ მიერ შემუშავებულ დებულებების შესაბამისად. მათ საშუალება მოგვცეს დაგვდასტურებინა ჩვენი მეხედულებების დიდი მსგავსება მძიმე კონფლიქტის მიმართ, დაუსრულებლად რომ ბრძოლავდეთ ამერიკელები ინდოჩინეთში, ისევე როგორც ყველგან, უცხოელთა ყოფნაზე ჩარევის შეწყვეტამ საშუალება უნდა მოგვცეს აღვადგინოთ მშვიდობა იმ ვადებში, რომელებიც, როგორც მყარნა. ახლოვდება, და შესაძლებელია მივცეთ ინდოჩინეთის სახელმწიფოებს თავიანთ ეროვნულ და სოციალური წყობილება და უზრუნველყონ ნეიტრალიტეტის პირობებში თავიანთი დამოუკიდებლობა, რასაც ისინი უეჭველად ესწრაფვიან. სწორედ ასევე ვეკიდებით აღმოსავლეთ პაკისტანის მდგომარეობასაც. ამან საშუალება უნდა მისცეს კვლავ დაამყაროს სიმშვიდე და დაბრუნონ მასა, რომელიც ინდოეთში გაიქცა; საერთაშორისო საზოგადოებრიობამ თავის პატივად უნდა მიიჩნიოს მზარი ჟუმანური დახმარების გაწევა ამ საქმეში.

არის კიდევ ერთი კონფლიქტი, რომელიც უკვე ოთხ წელიწადზე მეტია გრძელდება და, თუ კვლავაც გაგრძელდა, საბოლოოდ სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის საერთაშორისო მშვიდობას, მხედველობაში მაქვს ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი. საფრანგეთმა ნათლად გამოხატა თავისი პოზიცია და მტკიცედ იდგა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს ნომერ 242 რეზოლუციის დებულებებს, ყველა დებულებას უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი ოთხი სახელმწიფოს კონსულტაციის ფარგლებში, რომელიც ამ საკითხის გადაწყვეტის მიზნით გაიმართა, ჩვენმა ორმა ქვეყანამ, თქვენმა და ჩვენმა ქვეყნებმა, დაადასტურეს, რომ ჩვენი პოზიციები მსგავსია, ზოგიერთ დიდწინაზეულოვან საკითხზე კი — იდენტურია. მაგრამ დიდად ვწუხვარ, როცა ვხედავ, რომ ოთხ სახელმწიფოს ეს მოქმედება მნიშვნელოვნად შენელდა და, რომ ელჩ იარინგის მისია ჩიხში მოექცა. თუ შეერთებული შტატების მთავრობის ოზოლირებული ღონისძიებანი, რომელებსაც ჩვენ არ ვაპირებთ ხელი შეეშალოთ, და რომლებსაც, როგორც გვგონია, არც თქვენ აბრკოლებთ, უახლოეს მომავალში გამოიწვევდნენ ეერეთ წოდებულ დროებით მოწესრიგებას, რაც მისაღებია დაინტერესებული მხარეებისათვის, ჩვენ მხოლოდ ძოხარული ვიქნებოდით. მაგრამ ჩვენ კვლავ მიგვაჩნია, რომ ამგვარი მოწესრიგება მომავალში გამოიწვევდა ახალ კონფლიქტს, თუ იგი დასაბამს არ მისცემს სრულიად გარკვეულ გლობალურ მოწესრიგებას, რომელიც შეესაბამება უშიშროების საბჭოს რეზოლუციას და საუბალეს აძლევს ამ რაიონის ყველა ქვეყანას იცხოვრონ მშვიდობის პირობებში მტკიცე და აღიარებული საზღვრების ფარგლებში ყოველგვარი ტერიტორიული ანექსიების გარეშე. ამ-ტომ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ დადგება ჟამი, როცა ოთხი სახელმწიფო კვლავ ვააკქიერებს თავის კონსულტაციებს, რათა გააადვილონ და უზრუნველყონ სამართლიანი და საბოლოო მოწესრიგება. რამდენი დრო დაკავარვეთ ყველამ და არავის არაფერი არ მოგვიგია! რა უმეჯობის საშინელ ვრძნობას გამოიწვევდნენ საბოლოოდ სახელმწიფოები რომელთაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებამ დააკისრა განსაკუთრებული პასუხისმგებლობა! და განა შეიძლება უკეთ ვუჩვენოთ, თუ რაოდენ საჭიროა საერთაშორისო თანამშრომლობა!

თუ არსებობს ისეთი სფერო, რომელშიც ყველა ქვეყნის ეს თანამშრომლობა, მათ შორის თქვენი და ჩვენი თანამშრომლობა, ასევე აუცილებელია, ეს არის განიარაღება. ჩვენ დადებითად გამოვეხმაურეთ თქვენს წინადადებებს, თავდაპირველად ხუთი აბრეული სახელმწიფოს კონფერენციის, შემდეგ კი მსოფლიო კონფერენციის მოწვევის შესახებ. მაგრამ უწინდებურად დარწმუნებული ვართ, რომ ესრეთოული საფრთხე, მსოფლიოს რომ ექმნება, ეს არის ატომური საფრთხე, რომელიც, სხვ თუ ისე, ამა თუ იმ ფარგლებში ქვეყნებმა, რომლებიც ამ იარაღს ფლობენ, უნდა განხილონ ერთად მთელი კაცობრიობის ინტერესებისათვის.

რასაც უნდა ეხებოდეს საქმე, ევროპას, კონფლიქტებს, რომლებიც უკვე ხდება ან მოსალოდნელია წარმოიქმნას, თუ განიარაღების უმნიშვნელოვანეს პრობლემას, ჩვენი ინტერესები მოითხოვენ, რომ ვეთათბირებოდეთ ერთმანეთს, თქვენ და ჩვენ. და ვაღწევდეთ შეთანხმებას ურთიერთ შორის. ჩვენი რწმენით, ეს პოლიტიკა კონიუქტურული ხასიათისა როდია. საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის დაახლოება შეესაბამება მუდმივ მოთხოვნებს. ამას ადასტურებს ისტორია რუსი და ფრანგი ხალხების ასი წლის ეერთობლივი ბრძოლისა არსებობის უფლებისა და თავისუფლებისათვის. ჩვენ არ დაგვიწყეპია ის როლი, რომელიც საბჭოთა არმიამ შეასრულა ნაციზმზე განარჯვების მოპოვებაში და, მაშასადამე, ჩვენს განთავისუფლებაში. გეოგრაფია ეთანხმება ისტორიას და მოუწოდებს ჩვენს ქვეყნებს. ჩვენი კონტინენტის ორ სხვადასხვა კუთხეში რომ მდებარეობენ. მიუხედავად მათი ტერიტორიის სიდიდისა თავიანთი თანხმობა ბადააქციონ ევროპის შენობის ქვაკუთხედად ყოველი სხვა ფორმულა გამთიშველია. მაშინ რეა საფრანგეთ-რუსეთის თანხმობა დამაახლოებელია. რამდენადაც ვიცი, ბატონო გენერალურო მდივანო. საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელები იზიარებენ ამ ჩემს რწმენას, საიდანაც გამომდინარეობს დასკვნა, რომ ყოველგვარი სხვა დაახლოება ამ პირობებში წარმოადგენს ანა შეშფოთების საკანს, არამედ ევროპის კონტინენტის მომავლის რწმენის საფუძველს.

ბატონო გენერალურო მდივანო, ორსაუკუნენახევრის წინ პეტრე პირველი ეწვია საფრანგეთს. ვოლტერმა ეს მოგზაურობა გაანალიზა ლაკონიური რამდენიმე სიტყვით აღწერა: „პეტრე პირველი საფრანგეთში ღირსეულად მიიღეს". მას შემდეგ ჩვენმა ქვეყნებმა ბევრი ცვლილება განიცადეს და ბევრი რევოლუცია გამოიარეს. მაგრამ პეტრე პირველის ძეული დღემდე აღმართულია კრეისერ „ავრორას" მახლობლად, ხოლო რუსპუბლიკის პრეზიდენტი დღეს საღამოს თქვენ გასაპინძლობთ ლუი XIV-ის სასახლეში. ნება მიბოძეთ ამაში დავინახო ბედნიერი მემკვიდრეობითობის სიმბოლო, რომელმაც უნდა დაგარწმუნოთ თქვენ, რომ საფრანგეთი ღირსეულად გიმასპინძლებთ.

ქალბატონებო და ბატონებო! მე ვსვამ ბატონ ბრეჟნევის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის სადღეგრძელოს, პატივისცემით ვადღეგრძელებ ვ. პ. ბრეჟნევას, ვადღეგრძელებ მთავრობის დელეგაციის ყველა წევრს, კეთილდღეობასა და ბედნიერებას ვუსურვებ საბჭოთა ხალხს, საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას.

## ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის დასასრული

მომხდარ ცვლილებებს მოწმობენ უკანასკნელი დროის ისეთი აქტები, როგორიც არის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ხელშეკრულებების დადება, აგრეთვე ოთხი სახელმწიფოს ამასწინანდელი შეთანხმება დასავლეთ ბერლინის შესახებ. ახლოვდება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის, როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოების ურთიერთობის, სხვა ქვეყნებთან მათი კავშირურთიერთობის ნორმალიზაციის დრო, გაერთიანებული ერების ოგანიზაციაში მათი შესვლის დრო.

რეალურად ვიფასებთ რა ვითარებას, ჩვენ ვხედავთ, რომ ევროპაში კვლავ აქტიურად მოქმედებენ წრეები, ომამდეგ ეროვნული ბელი შეუშალონ ჩვენს კოსტინენტზე დაძაბულობის შენელების პროცესს. ისინი მზად ეროიან მიმართონ ყოველგვარ საეჭვო საშუალებაა. ოღონდ უაღლა დაატრიალონ ეს ეროცესი და, კერძოდ, გაანელონ სრულიად ევროპის თათბირის მოწვევა. მაგრამ, დარწმუნებული ვართ, რომ მშვიდობისმოყვარე საელმწიფოების, ფართო საზოგადოებრივი წრეების მეცადინეობით შეიძლება განხორციელდეს და კიდევაც უნდა განხორციელდეს ხალხთა ის იმედი, რომ მშვიდობა ევროპისათვის იქნება არა მხოლოდ პაუზა ომებს შორის, არამედ იქნება მისი ბუნებრივი მდგომარეობა.

ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, რომ ეს სურს ევროპის ყველა ხალხს. რაც შეეხება საბჭოთა ხალხს, იგი უაღრესად დაინტერესებულია ამით. ცხობილია, რომ ჩვენმა ხალხმა უდიდესი მსხვერპლი გაიღო ჰიტლერული აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში და განსაკუთრებით მგრძნობიარედ ეკიდება ყველაფერს, რაც კონტინენტის მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებს ეხება.

ხუთმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირმა და მისმა მოკავშირეებმა — სოციალისტურმა სახელმწიფოებმა წამოაყენეს წინადადება გაიმართოს სრულიად ევროპის თათბირი უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე. ახლა, როცა სულ უფრო მეტი სახელმწიფო უჭერს მხარს ამ წინადადებას, პირველ პლანზე დგება ახალი თათბირის ოოგანიზაციული მომზადების საკითხები. არავისთვის სადავო არ იქნება ის, რომ კარგად მომზადებული მუშაობა ბევრად განსაზღვრავს თვით თათბირის შინაარსსა და წარმატებას.

კარგი იქნება გავიხსენოთ, ბატონო პრეზიდენტო, რომ ჯერ კიდევ შარშან შემოდგომაზე მოლაპარაკების დროს, რომელსაც თქვენთან ვაწარმოებდით ა. ნ. კოსიგინი, ნ. ვ. პოდგორნი და მე, მკაფიოდ იყო განსაზღვრული საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის საერთო თვალსაზრისი სრულიად ევროპის თათბირის აქტიური მომზადებისა და მოწვევის სასარგებლოდ. ცხოვრებამ დაადასტურა, რომ სწორია ჩვენი საერთო შეხედულებანი. სულ უფრო ნათელი ხდება, რომ სრულიად ევროპის თათბირი, რომელშიც აგრეთვე მონაწილეობას მიიღებენ ამერიკის შეერთებული შტატები და კანადა, შეიძლება გახდეს დიდი აქცია, რომელიც ევროპის ხალხებისათვის უზრუნველყოფს მშვიდი ცხოვრებისა და მშვიდობიანი შრომის პირობებს. ვფიქრობ, რომ საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის აზრს თათბირთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე ახლანდელ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება.

ჩვენი შეხედულებებით, საუურადღებოა აგრეთვე ევროპის პოლიტიკის კიდევ ერთი საკითხი, რომელიც სულ უფრო იპყრობს ბევრი სახელმწიფოს ინტერეს. მხედველობაში მაქვს შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირება ცენტრალურ ევროპაში.

ჩვენი შეხედულებანი მიმდინარეობს რთულ საერთაშორისო ვითარებაში, როცა ჯერ კიდევ გრძელდება ომი ინდოჩინეთში, როცა მოწესრიგებული არ არის ახლო აღმოსავლეთის კრიზისი და აგრესორს ოკუპირებული აქვს არაბული მიწები. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ეს საკითხები, ისე როგორც მსოფლიოს ზოგიერთ სხვა რაიონში მომხდარი ამბები, შეიძლება გახდეს აგრეთვე ჩვენი აზრთა ურთიერთგაზიარების საგანი. და ეჭვი არ გვეპარება, რომ საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის პოზიციათა სიახლოვე კვლავ დამაჯერებლად დადასტურდება.

თანამედროვეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, რომელიც ყველა ქვეყნის ხალხებს აღელვებს, — ეს არის განიარაღების პრობლემა. ჩვენს კმაყოფილებას იწვევს ის, რომ საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის პოზიციები ერთმანეთს ემთხვევა ამ პრობლემის ყველაზე არსებითს ასპექტში, სახელდობრ იმაში, რომ უწინარეს ყოვლისა ბოლო უნდა მოეღოს გამალებულ ატომურ შეიარაღებას.

ჩვენ დიდად ვაფასებთ იმ ფაქტს, რომ საფრანგეთი, ისევე როგორც სსრ კავშირი, იღვწის ხუთი ატომური სახელმწიფოს კონფერენციის მოწყობისათვის და მხარი დაუჭირა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ახლანდელ სესიაზე შეტანილ წინადადებას განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მოწყობის შესახებ.

ჩვენ კმაყოფილებით ვუსვამთ ხაზს სსრ კავშირისა და საფრანგეთის პოზიციათა სიახლოვეს ისეთ კარდინალურ საკითხშიც, როგორიც არის სამხედრო-პოლიტიკური დაჯგუფებებად მსოფლიოს გათიშვის დაძლევა. საბჭოთა კავშირმა, ისევე როგორც ჩვენმა მოკავშირეებმა ვარშავის ხელშეკრულებით, ანაორაზროვნად განაცხადა, რომ მზად არის საქმე სწორედ ამ მიმართულებით წარმართოს.

გულახდილობისა და კეთილმოსურნეობის ატმოსფეროს, რომელიც ახასიათებდა საუბრებს თქვენთან, ბატონო პრეზიდენტო, მოსკოვში, ჩვენ ვგრძნობთ აქაც, პარიზში. ეს საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ — უკვე ჩვენი პირველი საუბრის შემდეგ, — რომ მოლაპარაკება გაგრძელდება ურთიერთობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში და რომ მისი შედეგები კიდევ უფრო მაღალ დონეზე აიყვანს საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თანამშრომლობას.

ბატონო პრეზიდენტო, უნდა ვაღიარო, რომ პარიზთან პირველი შეხვედრა განსაკუთრებულ გრძნობებს იწვევს ჩემში. ეს შეხვედრა დასახული იყო წინათ — 26 წელზე მეტი ხნის წინ. მაშინ მე ვიყავი საბჭოთა არმიის რიგებში, რომელმაც ევროპის ცენტრში დაამთავრა უკანასკნელი ოპერაციები ჰიტლერული ურდოების წინააღმდეგ. ომრომცდამეხუთე წლის გაზაფხულის დღეებში, რომლებიც ცოცხლობს ჩვენი თაობის მეხსიერებაში, მე და ჩემი ერთ-ერთი მებრძოლი მეგობარი ვოცნებობდით გვენახა პარიზი. ეს სურვილი ჩვენ დაგვებადა ჩვენი თანამებრძოლების — საფრანგეთის პატრიოტებისადმი პატივისცემის გრძნობის გამო. ჩვენ გვიზიდავდა საფრანგეთში თვითეული რუსი ადამიანისათვის დამახასიათებელი ღრმა პატივისცემა და ინტერესი ქვეყნისადმი, რომელმაც მსოფლიოს მისცა დიდი განმანათლებლები და რევოლუციონერები, ხელოვნებისა და მეცნიერების დიდი ადამიანები. მე უკვე მჭონდა საფრანგეთის დედაქალაქში ვამგზავრების კონკრეტული გეგმები, მაგრამ შეიქმნა გარემოება, რომელმაც ხელი შეუშალა ამ განზრახვის შესრულებას. მე წილად მხვდა პატივი ჩემს ფრონტელ ამხანაგებთან ერთად მონაწილეობა მიმეღო გამარჯვების პარადში მოსკოვის წითელ მოედანზე. და საჭირო იყო მზადება ამ დიდი, სახიბარულო მოვლენისათვის. ამას კი მოიყვა სხვა საქმეები, სხვა საზრუნავი. ასე მოხდა, რომ პარიზთან ჩემი შეხვედრა გადაიდო მეოთხედ საუკუნეზე მეტი ხნით. ახლა დიდად კმაყოფილი ვარ, რომ ეს შეხვედრა მაინც მოხდა. და მოხდა სსრ კავშირსა და საფრანგეთს შორის მზარდი მეგობრობის ნიშნით.

ხაბეთთა კავშირ-საფრანგეთის თანამშრომლობა უკვე დღეს გახდა საერთაშორისო ცხოვრების ერთ-ერთი უდიდესი ფაქტორი. ეს ბუნებრივია, თუ გავითვალისწინებთ იმ როლს, რომელსაც ჩვენი ქვეყნები ასრულებენ მსოფლიო საქმეებში. ჩვენი თანამშრომლობა ძხოლოდ და მხოლოდ ხალხთა უშიშროების განმტკიცების მიზნებს ემსახურება. დე იგი კვლავაც იყოს კარგი მაგალითი ხელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების აქტიური და ფართო განხორციელებისა, მათი საზოგადოებრივი წყობილებისა მიუხედავად.

ვადღეგრძელებ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ პომპიდუს და ქალბატონ პომპიდუს!

შემდეგ ნაყოფიერ განვითარებას ვუსურვებ საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თანამშრომლობას, ჩვენი ხალხების მეგობრობას!

• • •

ჟ. პომპიდუსა და ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები შეკრებილებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს. მათი სიტყვების დროს გაისმოდა ტაში.

სადღმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

სადილის შემდეგ ლ. ი. ბრეჟნევი და ჟ. პომპიდუ ფრანგ და საბჭოთა ოფიციალურ პირთა თხსნელითო წავიდნენ ლუი XV თეატრში.

სპექტაკლის დაწყების წინ შესრულებული იქნა სსრ კავშირისა და საფრანგეთის სახელმწიფო ჰიმნები.

სტუმრებს უჩვენეს ერთაქტიანი ბალეტები.

სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ლ. ი. ბრეჟნევს წარუდგინეს თეატრის მსახიობები. (საკდესი).

□ □

## შეხვედრა ელისეს სასახლეში

პარიზი, 25 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს ელისეს სასახლეში გაიმართა სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ლ. ი. ბრეჟნევის და საფრანგეთის პრეზიდენტ ჟ. პომპიდუსთან. შეხვედრამ უაღრესი გულითადობისა და გულახდილობის ვითარებაში ჩაიარა.

# ᲒᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲘᲗ ᲨᲔᲛᲙᲝᲚᲒᲐ

პარიზი, 26 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). ტრიუმფალურ თაღთან შარლ დე გოლის მოედანზე ქარი ანარეკლავს მარადიული ცეცხლის ალს. იგი უცნობი ჯარისკაცის საფლავზე ანთია.

დღეს დილით აქ მოვიდა [illegible] ტრიუმფალური თაღთან [illegible] ბრეჟნევი. საპატიო სტუმრებს [illegible] საფრანგეთის [illegible] ბ. ბაბან-დელმასი.

ტრიუმფალურ თაღთან ლ. ი. ბრეჟნევმა [illegible] თავდაცვის სახელმწიფო მინისტრი მ. [illegible] საქმეების მინისტრი ა. დიუპ�sარი, პარიზის სამხედრო გუბერნატორი გენერალი იუზიერი.

ლ. ი. ბრეჟნევს გულთბილად მიესალმნენ მოედანზე შეკრებილი პარიზელები.

გაირინდა საპატიო ყარაულის მწყობრი.

შეასრულეს სსრ კავშირისა და საფრანგეთის სახელმწიფო ჰიმნები.

ლ. ი. ბრეჟნევმა გვირგვინით შეამკო ამფალი. გვირგვინის ლენტზე წარწერილია: „უცნობ ფრანგ ჯარისკაცს. ლ. ი. ბრეჟნევისგან". დასასწრეებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს დაღუპულთა ხსოვნას.

საპატიო საბჭოთა სტუმარმა ხელი მოაწერა ოქროს წიგნში — ტრიუმფალური თაღის საპატიო დამთვალიერებელთა წიგნში.

შემდეგ ლ. ი. ბრეჟნევმა ჩამოუარა მედრშეთა, ომის ვეტერანთა და „ნორმანდია-ნემანის" პოლკის ვეტერანთა წარმომადგენლების მწყობრს. იგი გულთბილად მიესალმა ყოფილ ფრონტელებს, რომლებიც მხარდამხარ იბრძოდნენ საერთო მტრის — ფაშიზმის წინააღმდეგ.

# Ა. Ნ. ᲙᲝᲡᲘ�გᲘᲜᲘ ᲙᲐᲜᲐᲓᲐᲨᲘ

**პიკერინგი,** 25 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. ნ. კოსიგინი,** რომელიც ამთავრებს თავის ოფიციალურ ვიზიტს კანადაში, ეწვია ონტარიოს ტბის ნაპირზე მდებარე პიკერინგის ატომურ ელექტროსადგურს.

**ტორონტო,** 26 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). კანადის ეროვნული თავდაცვის მინისტრმა **დონალდ მაკდონალდმა** საუზე გამართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის **ა. ნ. კოსიგინის** პატივსაცემად.

ეს ასოციაცია, რომელიც კანადის საკანონმდებლო ყველაზე წარმომადგენლობითი ორგანიზაციაა, აერთიანებს კანადის კომპანიებისა და ფირმების, ბანკების, სადაზღვევო საზოგადოებების, საინვესტიციო ტრასტების პრეზიდენტებს და თავისი ფილიალები აქვს კანადის ყველა პროვინციისა და დიდ ქალაქში. სადილზე იყვნენ ა. ნ. კოსიგინი და მისი თანმხლები პირები.

კანადის მრეწველთა ასოციაციის პრეზიდენტი ჟ. ფილიონმა, კანადის მრეწველთა ასოციაციის ვიცეპრეზიდენტი ჟ. ფილიონი, მთავრობის ლიდერი სენატში ჯ. მარტინი, თავდაცვის მინისტრი დ. მაკდონალდი და სხვა ოფიციალური პირები, საქმიანი წრეების წარმომადგენლები.

თავის სიტყვაში მრეწველთა ასოციაციის პრეზიდენტი ჟ. ფილიონი მიესალმა ა. ნ. კოსიგინს და განაცხადა, რომ მისი ვიზიტი დაუვიწყარი მოვლენაა. არის ბევრი მიზეზი, რომელთა გამო ასოციაცია მიესალმება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ჩამოსვლას კანადაში. საბჭოთა კავშირი კანადის ჩრდილოელი მეზობელია. ეს არის ქვეყანა, რომლის ხალხმა უდიდესი ადამიანთა და მატერიალური მსხვერპლი გაიღო ოცდაათი წლის წინათ, მაგრამ არ დაუჭირა იარაღი ჰიტლერის წინაშე.

ჟ. ფილიონმა გამოთქვა რწმენა, რომ სახელმწიფოთა მოღვაწეების ურთიერთვიზიტების, მიუხედავ ამისა, თუ რა უთანხმოებები არსებობს მათ შორის, დიდი მნიშვნელობა აქვს, ხელს უწყობს ურთიერთგაგებას.

ჩვენ სიხარულით აღვნიშნავთ, განაცხადა მან, რომ ჩვენი ქვეყნების თანამშრომლობა უკვე ფართოვდება. ეს შესამჩნევია ვაჭრობაში, მეცნიერებაში, კულტურაში, ისევე როგორც ეკონომიკასა და პოლიტიკაში.

ჟ. ფილიონმა ხაზი გაუსვა, რომ კანადის საქმიანი წრეების წარმომადგენლნი ისწრაფვიან განავითარონ სავაჭრო ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან.

კანადელებს, განაგრძო ჟ. ფილიონმა, შეუძლიათ ბევრი რამ ისწავლონ საბჭოთა კავშირის მიღწევებით მრეწველობასა და მეცნიერებაში, ხოლო საბჭოთა სტუმრებს კანადაში ვიზიტის დროს შესაძლებლობა ჰქონდათ შეეფასებინათ ის, რაც კანადაში ჯერ-კიდევ წარმოებისა და გაადვილიან დარგში. მან იმედი გამოთქვა, რომ ამას წინათ ხელმოწერილ მეთანხმებებს მოკავეება კიდევ უფრო მტიდრო თანამშრომლობა ორ ფართო სფეროებში, რომლებიც ორივე მხარისათვის საინტერესოა. ჟ. ფილიონმა აღფრთოვანება გამოთქვა ეროვნული ეკონომიკის, ეროვნული ეკონომიკის დარგში ჯერ კიდევ სუსტად ვსწავლობდით ერთმანეთის ხელოვნებას. ეს ფრიად მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელსაც მტკიცედ ვიცავთ და ემყარებიან ვართ მისი შესრულების ვიმდინარეობით. მაგრამ უნდა გვქონდეს ურთიერთგაგება აგრეთვე ეკონომიური კავშირისა და ეკონომიური ურთიერთობის დარგში. ეს ფრიად ფართო ველია. ეკონომიკის დარგში ჯერ კიდევ სუსტად ვსწავლობდით ერთმანეთის ხელოვნებას

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი დ ა ი წ ყ ო ე ს ტ ო ნ ე თ ი ს კ უ ლ ტ უ რ ი ს დ ღ ე ე ბ ი

# ძმობის დღესასწაული

ესტონეთის სსრ დელეგაციის წევრებმა, რომლებიც რესპუბლიკაში იმყოფებიან საქართველოში ესტონეთის კულტურის დღეებთან დაკავშირებით, გვირგვინით შეამკეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დიდი ფუძემდებლის ვ. ი. ლენინის ძეგლი.

გვირგვინის ალისფერ ლენტზე წარწერილია „ხალხთა დიდ ბელადს ვ. ი. ლენინს ესტონეთის სსრ დელეგაციისაგან".

**სურათზე: ესტონეთის სსრ მთავრობის დელეგაცია გვირგვინით ამკობს ვ. ი. ლენინის ძეგლს თბილისში.**

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

## ჩვენ ტარტუში ვსწავლობდით

შორს არის ბალტიისპირეთი შავი ზღვიდან, სამი ათასი კილომეტრი აშორებს ერთმანეთს თბილისსა და ტალინს. მაგრამ მეგობრობამ მანძილი როდი იცის, მას ვერავითარი ძალა ვერ შეარყევს. ესტონელი და ქართველი ხალხების ძმობას, მეგობრობას, ურთიერთ სიყვარულს საუკუნოვანი ისტორია აქვს. წარსულის უკუღმართობამ, ერთნაირმა სოციალურმა პირობებმა დააახლოვა და შეადუღაბა ერთმანეთს ისინი.

ჩვენს ხალხებს შორის კულტურული ურთიერთობის დამყარებასა და დაძმობილებას დიდად შეუწყო ხელი იმ დროს მოელ ევროპაში სახელგანთქმულმა იურიევის უნივერსიტეტმა, სადაც მეცხრამეტე საუკუნის დამდეგიდან ვიდრე ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ბევრმა ჩვენმა თანამემამულემ მიიღო უმაღლესი განათლება, ამასთან მომძე ესტონელ ხალხში გაიტანა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი კულტურა.

იურიეველმა „თერგდალეულებმა" დიდი ამაგი დასდეს მშობლიურ კულტურას, მეცნიერებას, ხელოვნებას.

ჩვენთვის, სახელგანთქმული იურიევის უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტებისათვის, განსაკუთრებით ძვირფასი და მახლობელია ყველაფერი ის, რაც დაკავშირებულია ესტონეთთან, იურიევის უნივერსიტეტის კედლებთან, რომელთანაც ჩვენი ჭაბუკების ფრთებგაშლილი ოცნების წლები გვაკავშირებს.

ესტონელი და ქართველი ხალხების კულტურული ურთიერთობის ნაპერწკლები, რაც საუკუნის წინათ დაბადესს ჩვენმა სახელოვანმა წინაპრებმა, ჩვენს დროში, მშობლიური კომუნისტური პარტიის ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის წყალობით, გადაიქცა ხალხთა მეგობრობის ნათელ ჩირაღდნად. ეს ჩირაღდანი ათბობს და ადუღაბებს მეფის რუსეთის ყოფილი იმპერიის უღელისაგან განთავისუფლებულ ხალხებს.

ჩვენ უსაზღვროდ გვიყვარს ესტონეთი, ეგი ჩვენი მეორე სამშობლოა, რადგან ამ ქვეყანასთან არის დაკავშირებული ჩვენი ცხოვრების საუკეთესო წლები. ხუთ ათეულ წელიწადზე მეტი გავიდა, რაც იქიდან წამოვედით, მაგრამ დღესაც თვალწინ გვიდგას ქალაქი ამაინგის სანაპიროზე ტოომემიაგის გორა, სადაც გადაშლილია მეცნიერების ქალაქი ტარტუ, რომელთანაც ჩვენი სტუდენტური ცხოვრების დაუვიწყარი დღეებია დაკავშირებული.

ჩვენ დღესაც დიდი სიყვარულით ვიგონებთ ჩვენს აღმზრდელ პედაგოგებს, სახელგანთქმულ მეცნიერებს, რომლებმაც შეგვაყვარეს მეცნიერება, შრომა, უანგარო სამსახური სამშობლოსა და ხალხისადმი და გამოგვიყვანეს ცხოვრების დიდ გზაზე.

დღეს საქართველოში, უძველესი იბერიისა და კოლხეთის მიწა-წყალზე, ხალხთა ლენინური მეგობრობის დიდი ზეიმია. მომძე კალევალა ლეგენდარული ქვეყნის კულტურის წარმომადგენლები ზეიმით ხვდებიან რუსთაველის ქვეყნის შვილებს. ჩვენი ჩრდილოეთელი მეგობრები გვეწვიენენ, რათა ხელოვნების ენით გვიამბონ თავიანთ ცხოვრებაზე, საბჭოთა ხელისუფლების წლებში მიღწეულ წარმატებებზე, გვიჩვენონ თავიანთ მრავალსაუკუნოვანი, თვითმყოფი კულტურა, დაგვატკბონ ესტონური ქანგებით.

მართალია, ჩვენ, ოდესღაც ტარტუელი ჭაბუკები, დღეს უკვე ხანდაზმულები ვართ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაგრად, ჭაბუკურად გართმევთ ხელს. მზად ვართ ქართული სტუმართმოყვარეობით ჩვენს საყვარელ მამულში, ჩვენს უძველეს დედაქალაქში ერთხელ კიდევ გულით შევსვათ თქვენი მიწა-წყლის, ხალხისა და ჩვენთვის მარად დაუვიწყარი იურიევის მეცნიერების ტაძრის სადღეგრძელო.

ბედნიერი იყოს თქვენი მობრძანება, ჩვენო საყვარელო ესტონელო დებო და ძმებო! დაე სულ უფრო მტკიცდებოდეს და იფურჩქნებოდეს ჩვენი ხალხების საუკუნოვანი მეგობრობა!

**ესტონეთის სსრ რესპუბლიკა** მდებარეობს საბჭოთა კავშირის ჩრდილო-დასავლეთით. რესპუბლიკის ფართობი უდრის 45.100 კვადრატულ კილომეტრს, რომელთაგან თითქმის ერთ მეათედს დიდი და პატარა კუნძულები წარადგენენ. ისინი ესტონეთში 1.521. ესტონეთში არის 1.500-ზე მეტი ტბა. ესტონეთის სსრ მოსახლეობა 1.360.000 კაცს აღემატება.

უკვე უძველესი დროიდან ესტონეთის ტერიტორიაზე სახლობდნენ ესტონელთა წინაპრები. ისინი მისდევდნენ მონადირეობას, მეთევზეობას, მიწათმოქმედებას, მესაქონლეობას.

მე-12 საუკუნეში გერმანელმა, შვედმა და დანიელმა ფეოდალებმა სამხედრო ლაშქრობა წამოიწყეს ესტონეთის დამონების მიზნით. დამპყრობლები ასეთი ლაშქრობების შემდეგ სტოვებდნენ გადაბუგულ სოფლებს, დანგრეულ ხეტორებს. კარგად შეიარაღებული გერმანელი რაინდები ფლიერიბით აოემატებოდნენ ესტონელთა რაზმებს, რომლებიც თავისუფლებას იცავდნენ. მაგრამ დამპყრობლებს ორი ათწლეული დასჭირდათ, სანამ 1227 წელს დაიმონებდნენ ესტონელის უკანასკნელ ტერიტორიას — საარემაას კუნძულს.

რაინდებთან ერთად ესტონეთს შეესივნენ ბერები და ეპისკოპოსთა მსახურები. ხალხი იძულებული იყო მათთვის გადაეხადა ხარკი, აეშენებინა ციხე-სიმაგრეები, მონასტრები და ეკლესიები. ესტონელი ხალხისათვის დაიწყო საუკუნოვანი მონური შრომის პერიოდი.

რუსეთ-ლივონიის ომის შემდეგ ესტონეთი გაიყვეს შვედმა, პოლონელმა და დანიელმა ფეოდალებმა, ჩრდილოეთის ომის შედეგად კი იგი რუსეთს შეუერთდა. ამ დროიდან ესტონეთში დაიწყო ვაჭრობის სწრაფი განვითარება ახალი ნავსადგურებისა და ქალაქების მშენებლობა, მაგრამ გლეხთა მდგომარეობა კვლავინდებურად მძიმე იყო.

ესტონელ მშრომელებს სოციალური განთავისუფლება დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მოუტანა. მაგრამ ბურჟუაზიამ უცხოეთის იმპერიალისტთა დახმარებით შეძლო კაპიტალიზმის რესტავრაცია, რის გამოც ესტონელი ხალხი კიდევ ორ ათეულ წელს იტანჯებოდა ბურჟუაზიის უღელქვეშ.

ესტონეთის მუშათა კლასი, რომელსაც ესტონეთის კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობდა, ბურჟუაზიის ტერორის მიუხედავად განაგრძობდა ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების აღდგინისათვის. 1940 წლის რევოლუციურმა ტალღამ წაღლეა ბურჟუაზიული დიქტატურა. 1940 წლის 21 ივლისი ესტონეთის სსრ დაბადების დღად იქცა.

ეს დღე შემობრუნების დღე იყო ესტონელი ხალხის ისტორიაში. განხორციელდა მიწების, სამრეწველო საწარმოების, ბანკების, ტრანსპორტის, საბითუმო და საცალო ვაჭრობის მსხვილი საწარმოების, დიდი სახელმფლობელოების ნაციონალიზაცია. ბოლო მოეღო უმუშევრობას. უმიწო და მცირემიწიანმა გლეხებმა მიწა მიიღეს. დაისახა რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის სწრაფი განვითარების შესაძლებლობანი.

მაგრამ ფაშისტური გერმანიის თავდასხმამ საბჭოთა კავშირზე და ესტონეთის სსრ რესპუბლიკის ტერიტორიის ოკუპაციამ რამდენიმე წლით შეაჩერეს სოციალიზმის მშენებლობა, უდიდესი ზიანი მიაყენეს რესპუბლიკას. დიდი სამამულო ომის წლებში მოისპო სამრეწველო საწარმოთა დაახლოებით 45 პროცენტი. განადგურდა და დაიწვა ქალაქების საცხოვრებელი ფონდის 57 პროცენტი. განსაკუთრებით დაზარალდა ტალინი და ტარტუ, თითქმის მთლიანად დაინგრა ნარვა, შემცირდა სათესი ფართობი, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, პირუტყვის სულადობა. ესტონეთის სსრ სახალხო მეურნეობისათვის ფაშისტი ოკუპანტების მიერ მიყენებულმა ზარალმა 1,6 მილიარდ მანეთს (ახლანდელი გაანგარიშებით) გადააჭარბა.

ესტონეთის სსრ რესპუბლიკის განთავისუფლებისთანავე დაიწყო აღდგენითი სამუშაოები ამ მძიმე ჟამს, რესპუბლიკას დიდი დახმარება გაუწიეს მოძმე საბჭოთა ხალხებმა. ისინი ესტონეთს უგზავნიდნენ მოწყობილობას, ნედლეულსა და სპეციალისტებს, რომლებიც დანგრეული მრეწველობის აღდგენაში ეხმარებოდნენ. ძირეული ცვლილებანი მოხდა სოფლის მეურნეობაში. გაფანტული ერთპიროვნული მეურნეობების ნაცვლად, რომლებსაც მხოლოდ მარტივი სასოფლო-სამეურნეო იარაღი ჰქონდათ, დაიწყო დიდი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების — თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შენება. ახლა ესტონეთი ყოფილი აგრარული ქვეყნიდან გადაიქცა მოწინავე ინდუსტრიულ რესპუბლიკად, რომელსაც ინტენსიური სოფლის მეურნეობა აქვს.

საწვავი ფიქალების მდიდარი ბუდობები წანამძღვრების ქმნიან ენერგეტიკის სწრაფი განვითარებისათვის. გასულ წელს მან აწარმოვა 11,6 მილიარდი კილოვატსაათი. რესპუბლიკის ენერგეტიკულ საწარმოების შორის პირველი ადგილი უჭირავს 1,6 მილიონი კილოვატი სიმძლავრის ბალტიისპირეთის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურს — მსოფლიოში უდიდეს ელექტროსადგურს, რომელიც საწვავი ფიქალებით მუშაობს. ახლა მიმდინარეობს კიდევ უფრო მძლავრი ენერგეტიკული გიგანტის — ესტონეთის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის შენებლობა.

ორი სახეობის ნედლეული — საწვავი ფიქალი და ფოსფორიტი რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის საფუძველია. მარტო ამ ბოლო წლებში ფიქალის აუზში აშენდა მთელი რიგი ახალი ქარხნები და საამქროები. მაგალითად ელექტროდული კოქსის საამქრო, სინთეზური სარეცხი ნივთიერების ქარხანა, აზოტოვანი სასუქების ქარხანა, ფორმალინის საამქრო და სხვა დიდმნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ობიექტები. რესპუბლიკის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამანქანო და ხელსაწყოთსაშენებელ მრეწველობას.

რესპუბლიკის ბუნებრივი სიმდიდრენი ხელმძღვანელობენ პირობებს ქმნიან საშენ მასალათა მრეწველობის განვითარებისათვის. აქ არის ბევრი ფილაქანი, დოლომიტი, თიხა, კვარცის ქვიშა და ღორღი. საშენ მასალათა წარმოების კარგი ნედლეულია ფიქალის ნაცარი.

საბჭოთა ესტონეთი საზღვაო სახელმწიფოა. ეს ხელშემწყობ პირობებს ქმნის მეთევზეობის განვითარებისათვის. მაგრამ წარსულში მეთევზე ისე ღარიბი იყო, რომ შეეძლო ჰქონოდა მხოლოდ ნავი და ბადე. თევზსაც ცოტას იჭერდნენ: ბურჟუაზიულ ესტონეთში წლიური თევზჭერა 15 ათასიდან 25 ათასამდე ტონას შეადგენდა. 1970 წელს ესტონეთის მეთევზეებმა 289 ათასი ტონა თევზი დაიჭირეს. რესპუბლიკას მძლავრი თევზსაჭერი ფლოტი ჰყავს, რომელიც აწარმოებს რეწვას კანადისა და გრენლანდიის სანაპიროებიდან აფრიკის სანაპიროებამდე. ესტონეთის საკავშირო თევზსაჭერ ფლოტში 100-ზე მეტი გემია, მათ შორის ათამდე გემი-ქარხანა.

სულ ესტონეთის სსრ მრეწველობა ახლა დაახლოებით 27-ჯერ მეტ პროდუქციას უმზადებს, ვიდრე ომამდე უმზადდა.

განვითარების სოციალისტურ გზაზე გადასვლით ძირეულად შეიცვალა ესტონეთის სოფელიც. ბურჟუაზიულ ესტონეთში მიწა დანაწილებული იყო 140 ათას ხუტორულ მეურნეობაში, ამასთან 40 ათასი ხუტორიდან თითოეულს 10 ჰექტარი ჰქონდა, 65 ათას ხუტორს კი — 10-13 ჰექტარი. მიწის თითქმის ნახევარი 35 ათას მსხვილ მიწათმფლობელს ეკუთვნოდა. ათასობით პატარა ხუტორულ მეურნეობაში მიწას ხელით ამუშავებდნენ და მოსავალი უმნიშვნელო იყო.

ამჟამად რესპუბლიკაში 531 მსხვილი სასოფლო-სამეურნეო საწარმოა. მართალია სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია რამდენადმე უფრო ნაკლები ხალხი, ვიდრე ბურჟუაზიული წყობილების უკანასკნელ წლებში, მაგრამ შრომის უფრო რაციონალური ორგანიზაციის, მეცნიერების მიღწევათა დანერგვის, ტექნიკური და ენერგეტიკული აღჭურვილობის მეოხებით განუწყვეტლივ იზრდება როგორც მოსავლიანობა, ისე მთელიანი პროდუქციის წარმოებაც. წლეულს მარცვლეულის სამუალო მოსავლიანობამ რესპუბლიკაში შეადგინა 26,8 ცენტნერი ჰექტარზე. 1 ოქტომბრისათვის სახელმწიფოს მიეყიდა 11 პროცენტით მეტი ხორცი, 3 პროცენტით მეტი რძე და 10 პროცენტით მეტი კვერცხი, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდისათვის.

საბჭოთა წყობილების პირობებში დიდი წარმატებებია მოპოვებული განათლებისა და კულტურის დარგში. თუმცა ბურჟუაზიულ ესტონეთში შემოღებული იყო ექვსკლასიანი სავალდებულო განათლება, მაგრამ პრაქტიკულად მოსწავლეთა თითქმის ნახევარი იძულებული იყო მიეტოვებინა დაწყებითი სკოლა მის დამთავრებამდე, რადგანაც მშობლებს სწავლის განსაგრძობად არ ჰყოფნიდათ სახსრები. დაწყებითი სკოლის კურსდამთავრებულთა მხოლოდ 10 პროცენტი აგრძელებდა სწავლას. 1940 წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა რიცხვი 121.100 კაცს შეადგენდა, საშუალო სასწავლებლებისა — 2.100 და უმაღლესი სასწავლებლებისა — 4.700-ს. გასულ სასწავლო წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლობდა 211.400, ტექნიკუმებსა და სხვა საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში — 24.100 და უმაღლეს სასწავლებლებში —22.100 კაცი.

ესტონეთის სს რესპუბლიკაში 6 უმაღლესი სასწავლებელია: უნივერსიტეტი და სასოფლო-სამეურნეო აკადემია ტარტუში, პედაგოგიური ინსტიტუტი, პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სასხატვრო ინსტიტუტი და კონსერვატორია ტალინში.

მეცნიერული მუშაობის უდიდესი ცენტრია ესტონეთის სსრ მეცნიერებათა აკადემია, რომელსაც აქვს მთელი რიგი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები. მუშაობენ სამეცნიერო საზოგადოებანი. მეცნიერ მუშაკთა რაცხვმა გასული წლის დამლევს 4.700 შეადგინა.

საბჭოთა ესტონეთს სამართლიანად შეიძლება გუწოდოთ წიგნის რესპუბლიკა. ბურჟუაზიულ ესტონეთში მხატვრულ ნაწარმოებთა საშუალო ტირაჟი 1.400 ცალს შეადგენდა, ახლა იგი 20.000-ს აღემატება. დაახლოებით 1,4-მილიონიანი რესპუბლიკისათვის ეშვიათი როდია 40-50-ათასიანი ტირაჟები. ყოველწლიურად ესტონეთში გამოსცემენ დაახლოებით 2.000 დასახელების სხვადასხვა ლიტერატურას, რომელთა საერთო ტირაჟი თითქმის 11 მილიონ ცალს შეადგენს.

ესტონეთში 9 პროფესიული თეატრი მუშაობს, აქედან 5 თეატრი ტალინშია. გარდა პროფესიულისა, რესპუბლიკაში 12 სახალხო თეატრი მუშაობს. თეატრი ძალიან პოპულარულია, მაყურებელთა რაცხვმა შარშან თითქმის 1,3 მილიონი კაცი შეადგინა.

ამ მეოთხედი საუკუნის წინათ შექმნილმა კინოსტუდია „ტალინფილმმა" გადაიღო მთელი რიგი კინოსურათები, რომლებმაც პოპულარობა მოიპოვეს მოძმე რესპუბლიკებში. საუკეთესო ესტონურ თოჯინურ ფილმებს საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში უჩვენებენ. რაც შეეხება კინოქსელს, იგი 1939 წელთან შედარებით ათჯერ გაფართოვდა.

ძველი ტრადიციები აქვს ესტონურ სახვით და გამოყენებით ხელოვნებას. დიდია ინტერესი სახვითი ხელოვნებისადმი: ყოველწლიურად ეწყობა ასზე მეტი სამხატვრო გამოფენა, რომლებსაც ნახევარ მილიონზე მეტი კაცი ათვალიერებს. ესტონური გამოყენებითი ხელოვნება, რომელსაც ხალხური შემოქმედების ტრადიციები უდევს საფუძვლად, ყურადღებას იპყრობს როგორც სამშობლოში, ისე საზღვარგარეთაც.

ესტონეთის წარმომადგენლებს სურთ თავიანთი ხელოვნებით უჩვენონ ქართველ მეგობრებს, თუ როგორ ცხოვრობენ და შრომობენ მისი ადამიანები. (ესტდისი).

## ეცნობიან სტუმრები გამოფენაზე

**26 ოქტომბერს** საქართველოში ესტონეთის კულტურის დღეების მონაწილენი ეყვნენ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე.

ესტონეთის დელეგაციის ხელმძღვანელი, ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ა. ვიალასი**, ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ა. გრეში**, ესტონეთის კულტურის მინისტრი **ა. ლაუსი**, ესტონეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი **ა. კოოორნა**, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური პრემიის ლაურეატი, სახელმწიფო აკადემიური ვაჟთა გუნდის მთავარი დირიჟორი **გ. ერნესაქსი**, გაზეთ „რახვა ხიაელის" რედაქტორი, ესტონეთის ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარე **ა. საარემიაგი**, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, აკადემიური თეატრის „ვანემუინეს" დირექტორი და მთავარი რეჟისორი **კ. ირდი**, სოციალისტური შრომის გმირი, ტალინის მანქანათსაშენებელი ქარხნის მომნიშვნელთა ბრიგადირი **ა. ვალდოვი** და საქართველოში ესტონეთის სს რესპუბლიკის კულტურის დღეების სხვა მონაწილენი დიდი ინტერესით ეცნობოდნენ გამოფენის პავილიონებს.

გამოფენის ცხრა პავილიონში მკაფიოდ და შთამბეჭდავად არის ასახული საქართველოს მრავალსაუკუნოვანი კულტურა, რესპუბლიკის წარმატებანი მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, მშენებლობის დარგში. ყოველივე ამაზე დამთვალიერებლებს მოუთხრობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტექნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **გ. მიქელაძე.**

გამოფენის ექსპონატების დათვალიერების შემდეგ საქართველოში ესტონეთის სს რესპუბლიკის კულტურის დღეების ყველა მონაწილის სახელით ესტონეთის ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარემ, რესპუბლიკური გაზეთის „რახვა ხიაელის" რედაქტორმა **ა. საარემიაგმ** ალფრთოვანებული სიტყვები ჩაწერა შთაბეჭდილებათა წიგნში. **„დაე მრავლდებოდეს საბჭოთა საქართველოს მიერ რესპუბლიკის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობით მოპოვებული წარმატებანი. დაე დღითი დღე მტკიცდებოდეს ქართველი და ესტონელი ხალხების, ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა ხალხის მეგობრობა!"** — ამ სიტყვებით დაამთავრა თავისი ჩანაწერი ა. საარემიაგიმ.

საქართველოს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის დათვალიერების დროს სტუმრებს ახლდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ვ. სირაძე**, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე **დ. ჩხიკვიშვილი**, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი **ო. თაქთაქიშვილი**. საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, რესპუბლიკური გაზეთის „კომუნისტის" რედაქტორი **დ. მჭედლიშვილი**, საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი **დ. ანთაძე.**

ამავე დღეს სტუმრებმა ნახეს საქართველოს სამეცნიერო პოპულარული და ქრონიკალურ-დოკუმენტური ფილმების სტუდიის ფილმები „საბჭოთა საქართველო" და „ხალხის დღესასწაული".

საღამოს ისინი იყვნენ კულტურისა და დასვენების პარკში მთაწმინდაზე და ტკბებოდნენ ღამის თბილისის პეიზაჟით. (საქდესი).

**სურათზე: ესტონეთის სსრ დელეგაციის წევრები ეცნობიან საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენას.**

ფოტო ბ. გიგოხიასი.

**იურიევის უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტები: კ. ერისთავი, პ. კვირკელია, თ. მანუჩარიძე, პ. ჭაბუკიანი, გ. ქაჯაია, ვ. თოხაძე, ვ. ჩირგაძე, ვ. ჟორჟოლიანი, ა. ხოფერია, ბ. მარგველაშვილი, ნ. თოფურიძე, ბ. ჩიბოგიძე, ი. ურუშაძე, ვ. უანჩელი.**

ესტონეთის სსრ მოძმე რესპუბლიკა

# ბალტიისპირეთის თვალმარგალიტი

ესტონეთის სს რესპუბლიკა მდებარეობს საბჭოთა კავშირის ჩრდილო-დასავლეთით. რესპუბლიკის ფართობი უდრის 45.100 კვადრატულ კილომეტრს, რომელთაგან თითქმის ერთ მეათედს დიდი და პატარა კუნძულები წარადგენენ. ისინი ესტონეთში 1.521. ესტონეთში არის 1.500-ზე მეტი ტბა. ესტონეთის სსრ მოსახლეობა 1.360.000 კაცს აღემატება.

უკვე უძველესი დროიდან ესტონეთის ტერიტორიაზე სახლობდნენ ესტონელთა წინაპრები. ისინი მისდევდნენ მონადირეობას, მეთევზეობას, მიწათმოქმედებას, მესაქონლეობას.

მე-12 საუკუნეში გერმანელმა, შვედმა და დანიელმა ფეოდალებმა სამხედრო ლაშქრობა წამოიწყეს ესტონეთის დამონების მიზნით. დამპყრობლები ასეთი ლაშქრობების შემდეგ სტოვებდნენ გადაბუგულ სოფლებს, დანგრეულ ხეტორებს. კარგად შეიარაღებული გერმანელი რაინდები ფლიერიბით აოემატებოდნენ ესტონელთა რაზმებს, რომლებიც თავისუფლებას იცავდნენ. მაგრამ დამპყრობლებს ორი ათწლეული დასჭირდათ, სანამ 1227 წელს დაიმონებდნენ ესტონეთის უკანასკნელ ტერიტორიას — საარემაას კუნძულს.

რაინდებთან ერთად ესტონეთს შეესივნენ ბერები და ეპისკოპოსთა მსახურები. ხალხი იძულებული იყო მათთვის გადაეხადა ხარკი, აეშენებინა ციხე-სიმაგრეები, მონასტრები და ეკლესიები. ესტონელი ხალხისათვის დაიწყო საუკუნოვანი მონური შრომის პერიოდი.

რუსეთ-ლივონიის ომის შემდეგ ესტონეთი გაიყვეს შვედმა, პოლონელმა და დანიელმა ფეოდალებმა, ჩრდილოეთის ომის შედეგად კი იგი რუსეთს შეუერთდა. ამ დროიდან ესტონეთში დაიწყო ვაჭრობის სწრაფი განვითარება ახალი ნავსადგურებისა და ქალაქების მშენებლობა, მაგრამ გლეხთა მდგომარეობა კვლავინდებურად მძიმე იყო.

ესტონელ მშრომელებს სოციალური განთავისუფლება დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მოუტანა. მაგრამ ბურჟუაზიამ უცხოეთის იმპერიალისტთა დახმარებით შეძლო კაპიტალიზმის რესტავრაცია, რის გამოც ესტონელი ხალხი კიდევ ორ ათეულ წელს იტანჯებოდა ბურჟუაზიის უღელქვეშ.

ესტონეთის მუშათა კლასი, რომელსაც ესტონეთის კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობდა, ბურჟუაზიის ტერორის მიუხედავად განაგრძობდა ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების აღდგინისათვის. 1940 წლის რევოლუციურმა ტალღამ წაღლეა ბურჟუაზიული დიქტატურა. 1940 წლის 21 ივლისი ესტონეთის სსრ დაბადების დღად იქცა.

ეს დღე შემობრუნების დღე იყო ესტონელი ხალხის ისტორიაში. განხორციელდა მიწების, სამრეწველო საწარმოების, ბანკების, ტრანსპორტის, საბითუმო და საცალო ვაჭრობის მსხვილი საწარმოების, დიდი სახელმფლობელოების ნაციონალიზაცია. ბოლო მოეღო უმუშევრობას. უმიწო და მცირემიწიანმა გლეხებმა მიწა მიიღეს. დაისახა რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის სწრაფი განვითარების შესაძლებლობანი.

მაგრამ ფაშისტური გერმანიის თავდასხმამ საბჭოთა კავშირზე და ესტონეთის სს რესპუბლიკის ტერიტორიის ოკუპაციამ რამდენიმე წლით შეაჩერეს სოციალიზმის მშენებლობა, უდიდესი ზიანი მიაყენეს რესპუბლიკას. დიდი სამამულო ომის წლებში მოისპო სამრეწველო საწარმოთა დაახლოებით 45 პროცენტი. განადგურდა და დაიწვა ქალაქების საცხოვრებელი ფონდის 57 პროცენტი. განსაკუთრებით დაზარალდა ტალინი და ტარტუ, თითქმის მთლიანად დაინგრა ნარვა, შემცირდა სათესი ფართობი, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, პირუტყვის სულადობა. ესტონეთის სსრ სახალხო მეურნეობისათვის ფაშისტი ოკუპანტების მიერ მიყენებულმა ზარალმა 1,6 მილიარდ მანეთს (ახლანდელი გაანგარიშებით) გადააჭარბა.

ესტონეთის სს რესპუბლიკის განთავისუფლებისთანავე დაიწყო აღდგენითი სამუშაოები ამ მძიმე ჟამს, რესპუბლიკას დიდი დახმარება გაუწიეს მოძმე საბჭოთა ხალხებმა. ისინი ესტონეთს უგზავნიდნენ მოწყობილობას, ნედლეულსა და სპეციალისტებს, რომლებიც დანგრეული მრეწველობის აღდგენაში ეხმარებოდნენ. ძირეული ცვლილებანი მოხდა სოფლის მეურნეობაში. გაფანტული ერთპიროვნული მეურნეობების ნაცვლად, რომლებსაც მხოლოდ მარტივი სასოფლო-სამეურნეო იარაღი ჰქონდათ, დაიწყო დიდი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების — თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შენება. ახლა ესტონეთი ყოფილი აგრარული ქვეყნიდან გადაიქცა მოწინავე ინდუსტრიულ რესპუბლიკად, რომელსაც ინტენსიური სოფლის მეურნეობა აქვს.

საწვავი ფიქალების მდიდარი ბუდობები წანამძღვრების ქმნიან ენერგეტიკის სწრაფი განვითარებისათვის. გასულ წელს მან აწარმოვა 11,6 მილიარდი კილოვატსაათი. რესპუბლიკის ენერგეტიკულ საწარმოებს შორის პირველი ადგილი უჭირავს 1,6 მილიონი კილოვატი სიმძლავრის ბალტიისპირეთის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურს — მსოფლიოში უდიდეს ელექტროსადგურს, რომელიც საწვავი ფიქალებით მუშაობს. ახლა მიმდინარეობს კიდევ უფრო მძლავრი ენერგეტიკული გიგანტის — ესტონეთის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის შენებლობა.

ორი სახეობის ნედლეული — საწვავი ფიქალი და ფოსფორიტი რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის საფუძველია. მარტო ამ ბოლო წლებში ფიქალის აუზში აშენდა მთელი რიგი ახალი ქარხნები და საამქროები. მაგალითად ელექტროდული კოქსის საამქრო, სინთეზური სარეცხი ნივთიერების ქარხანა, აზოტოვანი სასუქების ქარხანა, ფორმალინის საამქრო და სხვა დიდმნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ობიექტები. რესპუბლიკის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამანქანო და ხელსაწყოთსაშენებელ მრეწველობას.

რესპუბლიკის ბუნებრივი სიმდიდრენი ხელმძღვანელობენ პირობებს ქმნიან საშენ მასალათა მრეწველობის განვითარებისათვის. აქ არის ბევრი ფილაქანი, დოლომიტი, თიხა, კვარცის ქვიშა და ღორღი. საშენ მასალათა წარმოების კარგი ნედლეულია ფიქალის ნაცარი.

საბჭოთა ესტონეთი საზღვაო სახელმწიფოა. ეს ხელშემწყობ პირობებს ქმნის მეთევზეობის განვითარებისათვის. მაგრამ წარსულში მეთევზე ისე ღარიბი იყო, რომ შეეძლო ჰქონოდა მხოლოდ ნავი და ბადე. თევზსაც ცოტას იჭერდნენ: ბურჟუაზიულ ესტონეთში წლიური თევზჭერა 15 ათასიდან 25 ათასამდე ტონას შეადგენდა. 1970 წელს ესტონეთის მეთევზეებმა 289 ათასი ტონა თევზი დაიჭირეს. რესპუბლიკას მძლავრი თევზსაჭერი ფლოტი ჰყავს, რომელიც აწარმოებს რეწვას კანადისა და გრენლანდიის სანაპიროებიდან აფრიკის სანაპიროებამდე. ესტონეთის საკავშირო თევზსაჭერ ფლოტში 100-ზე მეტი გემია, მათ შორის ათამდე გემი-ქარხანა.

სულ ესტონეთის სსრ მრეწველობა ახლა დაახლოებით 27-ჯერ მეტ პროდუქციას უმზადებს, ვიდრე ომამდე უმზადდა.

განვითარების სოციალისტურ გზაზე გადასვლით ძირეულად შეიცვალა ესტონეთის სოფელიც. ბურჟუაზიულ ესტონეთში მიწა დანაწილებული იყო 140 ათას ხუტორულ მეურნეობაში, ამასთან 40 ათასი ხუტორიდან თითოეულს 10 ჰექტარი ჰქონდა, 65 ათას ხუტორს კი — 10-13 ჰექტარი. მიწის თითქმის ნახევარი 35 ათას მსხვილ მიწათმფლობელს ეკუთვნოდა. ათასობით პატარა ხუტორულ მეურნეობაში მიწას ხელით ამუშავებდნენ და მოსავალი უმნიშვნელო იყო.

ამჟამად რესპუბლიკაში 531 მსხვილი სასოფლო-სამეურნეო საწარმოა. მართალია სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია რამდენადმე უფრო ნაკლები ხალხი, ვიდრე ბურჟუაზიული წყობილების უკანასკნელ წლებში, მაგრამ შრომის უფრო რაციონალური ორგანიზაციის, მეცნიერების მიღწევათა დანერგვის, ტექნიკური და ენერგეტიკული აღჭურვილობის მეოხებით განუწყვეტლივ იზრდება როგორც მოსავლიანობა, ისე მთელიანი პროდუქციის წარმოებაც. წლეულს მარცვლეულის სამუალო მოსავლიანობამ რესპუბლიკაში შეადგინა 26,8 ცენტნერი ჰექტარზე. 1 ოქტომბრისათვის სახელმწიფოს მიეყიდა 11 პროცენტით მეტი ხორცი, 3 პროცენტით მეტი რძე და 10 პროცენტით მეტი კვერცხი, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდისათ



შემოდგომა მთაში. ფოტო ხ. კილაძისა.

### იტალიის წინააღმდეგობის მონაწილენი საქართველოში

# შეხვედრა ფორეს თანამემამულეებთან

 სიღნაღი, 26 ოქტომბერი. (საქდისის სპეც. კორ.). ასობით ადამიანი შეიკრიბა კულტურის რაიონული სახლის დარბაზში, რათა შეხვედროდნენ იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის ვეტერანთა დელეგაციას.

იტალიის ეროვნული გმირის ფორე მოსულიშვილის თანამემამულეებთან შეხვედრა გაახსნა საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომის პირველმა მდივანმა დ. გელაშვილმა.

სახელგანთქმული თანამემამულის გამო სიამაყის გრძნობები გამოხატეს სიღნაღის საშუალო სკოლის მასწავლებელმა ს. ბერიაშვილმა, ყოფილმა იტალიელმა პარტიზანმა, სოფელ ვაქირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გ. გოგოლაშვილმა, მოსწავლე ნანა ჯალიაშვილმა.

სტუმრებს რაიონის მშრომელთა სახელით საჩუქრად გადასცეს კობა გურულის ჰედური პანო „რადიაციისაგან ხიროსიმაში დაღუპული ქალიშვილის ხსოვნისათვის".

დელეგაციის მეთაურმა ერალდო გასტონემ დიდი მადლობა გადაუხადა სიღნაღელებს გულითადი შეხვედრისათვის. მან ფორეს თანამემამულეებს გადასცა საჩუქარი — პარტიზანის ბრინჯაოს ფიგურა. „ასეთი იყო თქვენი ფორე", — თქვა მან. საჩუქარი ღირსეულ ადგილს დაიკავებს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

# დაუვიწყარი შთაბეჭდილებანი

თელავი, 26 ოქტომბერი. (საქდისის სპეც. კორ.). შემოდგომის ფერებით მორთული წინანდლის ძველი პარკი. აკაკეთული კვიბაროსების ხეივანში, შორს მოჩანს დათოვლილი კავკასიონის მწვერვალები. იტალელი სტუმრები აღტაცებით ათვალიერებენ პარკს, განუწყვეტლივ აჩხაკუნებენ ფოტოაპარატებს — სამშობლოში თან უნდა წაიღონ საქართველოს ამ მშვენიერი კუთხის მომხიბვლელობა. ინტერესით დაათვალიერეს იტალიელმა პატრიოტებმა აღლუსნდრე ჯავჯავაძის სახლ-მუზეუმის ექსპონატები.

შემდეგ სტუმრები გაეცნენ წინანდლის ღვინის ქარხანას. ქარხნის დირექტორის ა. უტიაშვილისაგან მათ შეიტყვეს, რომ ამ უძველესი საწარმოს საცავებში ვარგდება მილიონი დეკალიტრი ღვინო. როცა სადეგუსტაციო პავილიონთ „წინანდალში" ღვინო დაეჯაშნიკა, მისმა კარგმა მცოდნემ პროფესორმა პიეტრო ფორნარამ ძველებური სტუდენტური ჰიმნის „გაუდეამუს იგიტურის" რამდენიმე სტრიქონი წარმოთქვა:

„პირველი ჭიქა შესვი აჭ,
მეორე ჭიქა ბოლომდე დაცალე,
მესამე ჭიქა პირველივით შესვი",—

და დასძინე: „აი ასე უნდა სვა ქართული ღვინო".

იტალიელი სტუმრები ეწვევნენ თელავის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს, დაათვალიერეს მე-11 საუკუნის ძეგლი — ალავერდის ტაძრის არქიტექტურული ანსამბლი და რაიონის სხვა ღირსშესანიშნაობანი.

სალამაზე და ვაქაცობა, თქვა დელეგაციის მეთაურმა ერალდო გასტონემ, მახლობელი ცხებებია, და ამ „სპექტით ნათელი ხდება, რომ უკვდავი გმირობა ჩაიღინა სწორედ ფორემ — კაცმა, რომელმაც ამ ადგილების სილამაზე შეინსნლხორცა.



# აღადგინეს ჩინეთის უფლებები

ნიუ-იორკი, 26 ოქტომბერი. (საქდისი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ დაამთავრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა აღდგენის საკითხის განხილვა, კამათში ამ საკითხზე გამოვიდა 80-ზე მეტი დელეგატი.

გუშინ პლენარულ სხდომაზე გაიმართა კენჭისყრა შეტანილი რეზოლუციების თაობაზე. როგორც ცნობილია, ასამბლეის განსახილველად შეტანილი იყო ორი რეზოლუციის პროექტი. ერთი, რომელიც ქვეყნების დიდმა ჯგუფმა შეიტანა, თვალისწინებდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უფლებათა აღდგენას და ჩანკაიშელთა გაძევების ყველა მისი ორგანოდან. ამ პროექტს მხარი დაუჭირეს სოციალისტურმა ქვეყნებმა.

მეორე—ამერიკული პროექტი, თუმცა ისიც მოითხოვდა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა წარმოდგენილი ყოფილიყო გენერალურ ასამბლეასა და უშიშროების საბჭოში როგორც მისი მუდმივი წევრი, მაგრამ ამასთანავე თვალისწინებდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ადგილის შენარჩუნებას ჩანკაიშელებისათვის. ეს რეზოლუცია ფაქტიურად ამკვიდრებდა „ორი ჩინეთის წარმომადგენლობის" იდეას.

კენჭისყრის დაწყების წინ გუშინდელ პლენარულ სხდომაზე ქვეყნების ჯგუფმა, რომლებიც მხარს უჭერდნენ ამერიკის წინადადებას, სკადა მიეღწია იმისათვის, რომ ჩანკაიშელთა გაძევების საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციიდან გადაწყვეტილიყო არა უბრალო ხმების უმრავლესობით, არამედ ორი მესამედის უმრავლესობით. ეს წინადადება უარყვეს ხმების უმრავლესობით.

შემდეგ „ენენისსაყრელად შეიტანეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უფლებათა აღდგენისა და იქიდან ჩანკაიშელთა გაძევების წინადადება.

ამ წინადადებას ხმა მისცა 76 ქვეყანამ, მათ შორის აზიის, აფრიკის, ევროპის, სოციალისტურმა სახელმწიფოებმა. ამ წინადადების წინააღმდეგ ხმა მისცა 35 ქვეყანამ, მათ შორის ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, იაპონიამ, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ, ავსტრალიამ და სხვ. 17 დელეგაციამ თავი შეიკავა კენჭისყრისაგან.

ამრიგად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ დაადგინა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლები ცნოს ჩინეთის ერთადერთ კანონიერ წარმომადგენლებად გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და გაერთიანებული ერების ორგანიზაციიდან დაუყოვნებლივ გააძევოს ჩანკაიშელები, რომლებსაც უკანონოდ ეკავათ ჩინეთის ადგილი 22 წლის განმავლობაში.

განხილვის დროს სსრ კავშირს წარმომადგენელმა ი. ა. მალიკმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი თანამიმდევრულად იცავდა ჩინელი ხალხის სამართლიან ინტერესებს და იღვწოდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი უფლებების აღდგენისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

პლენარული სხდომის დამთავრების შემდეგ გენერალურმა მდივანმა უ. ტანნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას გაუგზავნა დეპეშა, რომლითაც აცნობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილება.



# სამგროშიანი ოპერა

ბრეჰტი სრულიად სერიოზულად იცინის, ხითხითებს მამხილებლად, სასტიკად. ბოროტების ამოძირკვის მტკიცე წადილით. ბრეჰტი ხარხარებს „სამგროშიან" ადამიანთა ძალის რწმენით გულდაჯერებული.

და აი, ბრეჰტის ძლევამოსილი სიცილი დააბიჯებს მსოფლიოში, მან საქართველოს სიცილმოყვარე დედაქალაქის ქარიგ შემოაღო და რუსთაველის თეატრის სცენიდან ლაღობს.

მაყურებელი? — ყურადღებით უსმენს, ცქერად არის გადაქცეული, ბრეჰტის სიცილი, „ბერლინერ ანსამბლის" მიერ წარმოდგენილი, მუსიკალად ასატაცებელი როდია, — ის დამფიქრებელია, ჩვენს შემოქმედებით ტრადიციასა და ჩვენასთან შეპირისპირებაშია, თანაც მებრძოლი აზრის, ცხოვრების გარდამქმნელი ნებისყოფის აღმძვრელია.

ბევრი რამ ჩვენთვის ახლობელია, ამიტომ ძვირფასი და მისასალმებელია უპირველეს ყოვლისა თეატრის თანადროულობა, სოციალიზმის თანასმიერება, კომუნიზმისათვის მებრძოლთა პოზიცია. ბრეჰტის თეატრი კომუნიზმისათვის მებრძოლი სამყაროს თეატრია, თეატრი სრულიად გარკვეული შემოქმედებითი პოზიციით. თავადარი ის კი არ არის, თუ როგორი ფორმა აქვს მის სპექტაკლებს, თავადარია როგორი შინაარსისათვის არის ეს ფორმა გამოყენებული. შინაარსი კი ნამდვილად სოციალისტურია. რაც შეეხება ფორმას, ჩვენ იმის მომხრენი ვართ, რომ რაც შეიძლება ფართო სარბიელი მიეცეს ფორმის და სტილის მრავალფეროვნებას და სიმდიდრეს სოციალისტური შინაარსის გამოსახატავად.

ახლობელია ქართული საბჭოთა თეატრისათვის სასცენო ხელოვნების სინთეზური ბუნებისაკენ ლტოლვა, რაც ასე მკაფიოდ არის გამოხატული „სამგროშიანი ოპერის" დადგმაში. ოდიდანვე ქართული სახიობა ავითარებდა პოეტური სიტყვის, სიმღერის და ცეკვის სინთეზს და ეს უქმნიდა მის თეატრს გარკვეულ თავისებურებას. საქართველო არის სამშობლო და სარბიელი დიდი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილისა, რომელმაც სინთეზური თეატრის მოძღვრება ჩამოაყალიბა და მას აზიარა ქართული, რუსული, უკრაინული და ლატვიური თეატრები. და ამიტომ გასაგებია, რომ პირველი, რამაც ბრეჰტის რეპერტუარიდან ქართული თეატრი დაინტერესა, ეს იყო „სამგროშიანი ოპერა", რომელიც რუსთაველის თეატრმა დადგა დიმიტრი ალექსიძის რეჟისორობით და, რაც აღინიშნა, მეკი დანას როლში რამაზ ჩხიკვაძის ბრწყინვალე გამოსვლით.

ეს ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, ვისი ცხოვრების უმაღლესი მიზანი და შინაარსი მშობლიური ქვეყნისა და ხალხის კულტურისა და თავისუფლებისათვის გმირული ბრძოლით აღსავსე ისტორიის კვლევა-ძიება იყო.

გ. ლომთათიძე დაიბადა ცხინვალში 1914 წლის 26 ნოემბერს. 1931 წელს შედის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიურ ფაკულტეტზე, რომელსაც წარჩინებით ამთავრებს. 1938 წლიდან იგი უკვე ასპირანტია და წარმატებით ეუფლება არქეოლოგიის საფუძვლებს პროფესორ გ. ნიორაძის ხელმძღვანელობით. აქედან მოყოლებული სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე გ. ლომთათიძე მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითისა თუ საორგანიზაციო საქმიანობასთან. აქ ჩამოყალიბდა იგი როგორც ჭეშმარიტი მკვლევარი და სწავლული არქეოლოგი, ვინც დაუღალავი ენერგიით, სანაქებო კეთილსინდისიერებითა და მაღალმოქალაქეობრივი შეგნებით ემსახურა თავის საწუკვარ საქმეს ოცდაათზე მეტი წლის განმავლობაში, როგორც რიგითი მეცნიერი თანამშრომელი, ერთხანს სწავლული მდივანი, ხოლო უკანასკნელ ხანებში როგორც შუა საუკუნეთა არქეოლოგიის განყოფილების დამაარსებელი და ხელმძღვანელი.

# გიორგი ლომთათიძე

ქართულმა საისტორიო მეცნიერებამ, მეტადრე არქეოლოგიამ დიდი დანაკლისი განიცადა. 56 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა ქართული კულტურის ისტორიის მთავარებული მკვლევარი, ფართოდ ერუდირებული ნიჭიერი მეცნიერი, გამოჩენილი არქეოლოგი გიორგი ალექსანდრეს-ძე ლომთათიძე. ჩვენს რიგებს უდროოდ გამოაკლდა ქართველ არქეოლოგთა უფროსი თაობის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, ვისი ცხოვრების უმაღლესი მიზანი და შინაარსი მშობლიური ქვეყნისა და ხალხის კულტურისა და თავისუფლებისათვის გმირული ბრძოლით აღსავსე ისტორიის კვლევა-ძიება იყო.

გ. ლომთათიძე დაიბადა ცხინვალში 1914 წლის 26 ნოემბერს. 1931 წელს შედის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიურ ფაკულტეტზე, რომელსაც წარჩინებით ამთავრებს. 1938 წლიდან იგი უკვე ასპირანტია და წარმატებით ეუფლება არქეოლოგიის საფუძვლებს პროფესორ გ. ნიორაძის ხელმძღვანელობით. აქედან მოყოლებული სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე გ. ლომთათიძე მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითისა თუ საორგანიზაციო საქმიანობასთან. აქ ჩამოყალიბდა იგი როგორც ჭეშმარიტი მკვლევარი და სწავლული არქეოლოგი, ვინც დაუღალავი ენერგიით, სანაქებო კეთილსინდისიერებითა და მაღალმოქალაქეობრივი შეგნებით ემსახურა თავის საწუკვარ საქმეს ოცდაათზე მეტი წლის განმავლობაში, როგორც რიგითი მეცნიერი თანამშრომელი, ერთხანს სწავლული მდივანი, ხოლო უკანასკნელ ხანებში როგორც შუა საუკუნეთა არქეოლოგიის განყოფილების დამაარსებელი და ხელმძღვანელი.

გ. ლომთათიძის სამეცნიერო მოღვაწეობის ძირითადი პრობლემატიკა მოიცავდა საქართველოს ბრინჯაოს ხანის, ანტიკური და ფეოდალური ხანის კულტურის ისტორიის საკითხებს, რომელთა დამუშავებისას ნაკლოვანებისა და წარმოების კერების შესწავლა იყო წინა პლანზე წამოწეული. მის სამეცნიერო მოღვაწეობაში დიდი ადგილი ეჭირა აგრეთვე ქართული არქეოლოგიური მეცნიერების ისტორიის საკითხებს და მის მოღვაწეთა როლისა და მნიშვნელობის ჯეროვან შეფასებას.

გ. ლომთათიძის ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით გაითხარა და შესწავლილ იქნა „უჯარმის ნაციხარ-ნაქალაქარი, ძველი თბილისის დიდაციხე და [illegible] „ბარი", ოდიენის თვალსაჩინო [illegible] ტული საცხოვრებელ[illegible], სამეურნეო და [illegible] კომპლექსები ვარძიაში, ვარციხეში, თელავსა და თელ ავიტერაში, ხორნაბუჯზე, ჯავახეთის ახალქალაქსა თელ ურბნისში და სხვ.

ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო, გ. ლომთათიძემ მცხეთის ძეგლების ნაკრებულს, რასაც 30 წელზე მეტია ეწევა ივ. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას თაოსნობით დაარსებული „მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია", რომლის საიუბილეო თარიღს მან, როგორც ამ ექსპედიციის ერთ-ერთმა უხუცესმა წევრმა, საგანგებო წერილი მიუძღვნა. მცხეთის უძველესი ძეგლებისადმი მიძღვნილია მისი პირველი დისერტაცია (1944 წ.). მასვე ეკუთვნის პირველი მიმოხილვითი შემაჯამებელი ნაშრომები ქართულ (1944 წ.) და რუსულ (1955 წ.) ენებზე, რომელთა საშუალებით ფართო საზოგადოებრიობას გარკვეული წარმოდგენა შეექმნა მცხეთაში წარმოებული კვლევა-ძიების შედეგებზე.

მაგრამ მის სამეცნიერო-კვლევითს თემატიკაში გაცილებით მეტი ადგილი უჭირავს მცხეთისა და საერთოდ საქართველოს გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ხანის კულტურის ძეგლთა შესწავლას. სწორედ ამ ხანის ძეგლთა განხილვის ფონზე აქვს გაშლილი გ. ლომთათიძეს ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურული იერის საერთო სურათი, რაც მისი უკანასკნელი დიდი განმაზოგადებელი ნაშრომის შინაარსს შეადგენს. მისი თანაავტორობით გამოვიდა 1955 წელს წვნი მცხეთა-არმაზის ეროსთვთა განსასვენებელში მოპოვებული მდიდრული სამარხეული ინვენტარისა, საცხოვრებელ სამკურნე და საკულტო ნაგებობათა და პირველხარისხოვან ეპიგრაფიკულ ძეგლთა შესახებ. ამ ნაშრომის 1958 წელს გამოსული რუსული თარგმანიც გ. ლომთათიძეს ეკუთვნის. საერთოდ მის კალამს ეკუთვნის 75 სამეცნიერო ნაშრომი.

გ. ლომთათიძე ეწეოდა სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სამხატვრო აკადემიასა და სახელმწიფო უნივერსიტეტში, იყო თანაავტორი უნივერსიტეტის მიერ გამოცემული „საქართველოს არქეოლოგიის" კურსისა; ზრდიდა ასპირანტებს.

აღარ არის ჩვენს შორის ბევრი ლომთათიძე, ღრმად განათლებული, დიდი შინაგანი კულტურის ინტელიგენტი, მაღალი ზნეობრივი თვისებებით დაჯილდოებული ადამიანი, გულისხმიერი ამხანაგი და ჭეშმარიტი მეგობარი.

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია; ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი; ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის სამეცნიერო საზოგადოება; საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი.**

# დღეს ლისაბონში

დღეს სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდს ლისაბონში ევროპის ჩემპიონატის უკანასკნელი შესარჩევი შეხვედრა ექნება ესპანეთის გუნდთან. საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში არსებითი ცვლილება არ მოსხდარა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ უკანასკნელ მომენტში ლოგოზეგმა ტრავმა მიიღო და იგი ზიკო